ცალკეული ნომერი ფასი 7 კაპ. ოთხშაბათი, 7 ქრისტეშობისთვე 1916 წ. № 273

საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს" რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.
ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело", поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი
ჩვეულებრივი სტრიქონი [illegible] რეზე პეტიტით ღირს 15 [illegible] კნილზე—10 კ., კვირაობით [illegible] ლებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ღირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით 15×2 ღირს 5 მ.; 20×2 ღირს 7 მ., 25×2 ღირს 8 მ. 3 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში) ეღირ. მეტი.
დამატებიანი № ღირს ყველგან 10 კაპ.

ხარფუხის საზოგადო კლუბი
(მიხეილის პროსპექტი, № 163, საზამთრო შენობა)
ოთხშაბათს, 7 ქრისტეშობისთვეს,
ქართულ დრამატიულ დასის მიერ წარმოდგენილი იქნება
დღენი ჩვენი ცხოვრებისა
დრამა 4 მოქ. ანდრეევისა, თარგმანი იმედაშვილისა.
დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ ს.
წარმოდგენაზედ შესვლა უფასოა. სტუმრები იხდიან კლუბში შესასვლელს: ქალები და სტუდენტები 40 კ., მამაკაცები 80 კ.
(1—285—1)

ამიერ კავკასიის
მომხმარებელ საზოგადოებ. კავშირი
ამით აცხადებს, რომ მან შეიძინა
კედლის ქართ. კოოპერატიული კალენდარი 1917 წ.
გამოცემული კოოპერატიულ გამომც. „განახლებისა". ფასი ერთი მან.
კოოპერატივებს დაეთმობათ 80 კაპეიკად. 2—282—2)

20 ქრისტეშობისთვეს თბილისში გამოვა სამხატვრო-სალიტერატურო კრებული
„საფირონი"
კრებულში მონაწილეობას იღებენ ცნობილი მწერალ-კრიტიკოსნი.
რედაქტორი გ. ლეონიძე მისამართი: Тифлисъ, Кантора „Ганатлеба".
(თვით 284—1)

საუკეთესო, თავანკარა
კახური ღვინო
მოიკითხეთ სარდაფში
„ზ ვ ა რ ი"
პატივისცემით ე. ნ. ეგოროვი და ნ. გ. ბაცაშვილი.
თბილისი: ცერკოვნი ქუჩა № 1 (ვორონცოვის ძეგლიდან მიხეილის ქუჩის პირველ მისახვევში, მარჯვნივ).
(თვ.)

პირველ ხარისხოვანი რესტორანი
კაფე პარიზი
ახლად მოწყობილი მსგავსად სატახტო ქალაქთა რესტორანებისა.
(სასახლის ქუჩაზე „ახალ კლუბის" ქვეშ)
ფასები ყველასათვის ხელმისაწვდომია
ყოველ დღე მზადდება
საუზმე | ჩაი
სადილები | ყავა
ვახშმები | ხაჭაპური
| პიროჟკები
ადგილობრივი და უცხოური სასმელები, კარაქზე, გამოცდილ მზარეულის ხელმძღვანელობით.
პატივისცემით ხიდ. ს. ყიფიანი.

ექიმი
ფონ-ირტელი
(მიხეილოვის პროსპ. 128, კრილოვის ქუჩის კუთხე, 1, შესავალი კრილოვის ქუჩიდან, სახლი ოჰანეზოვისა).
მოსკოვის სახაზინო საავადმყოფოს ყოფილი ორდინატორი, სპეციალისტი ღოსტაქრობისა, საშარდე მილისა, სქესობრივი ორგანოებისა, სიფილისისა და მის შედეგებისა (საშარდე მილის დავიწროვება), სქესობრივი უძლურებისა, სიმსივნისა, ჭრილობისა, ბუასილისა, თეთრანასი, საშარდე ბუშტის სნეულებისა და საშვილოსნოსი. ორივე სქესის ავადმყოფების მიღება ხდება დილის $9^1/_2$-დან 1 საათამდე და ნაშუადღევის 5—9 საათამდე.
ერლიხის „914" და „606"
შეშხაპუნება

დოქტორი მედიცინისა
მოსე ანტიმოსის ძე
კალანდარიშვილი
უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.
ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებათა ავადმყოფებს მიიღებს ოლღის ქ. № 3.

ექიმი-დოსტაქარი
გ. მ. მუხაძე
იღებს ავადმყოფებს საღამოს 5—8 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნის და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სუხიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

ექიმი
კ. ი. მჭედლიძე
შინაგან და ბავშვთა სნეულებათა ავადმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 6—7 ს., კვირა დღის გარდა. ქსენიევის ქუჩა, № 4, სასტუმრო ვეტცელის გვერდით. ტელეფ. 15—00.

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა
ახალი აფთიაქი
ბრომბერგის აფთიაქი
ექიმი
მ. ი. ვაჩნაძე
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს მუდამ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, ბელინსკის ქ. № 4. (თ.—202—)



„ფრანციის" ნომრების ქვეშ, ფრანგის ქუჩა.
მოწყობილია ევროპიულ პირველ ხარისხოვან რესტორანების მსგავსად. საჭმელები ევროპიულიც არის და ადგილობრივიც. ყოველ დღეა: ხარშო, ლობიო, საცივი, ხაჭაპური, „პიროჟკი" და სხვა საუზმე, სადილი და ვახშამი. მიუხედავად სანოვაგის სიძვირისა, „ეკონომიაში" სადილები მეტად იაფია. გამოცდილი მზარეული სადილს კარაქით ამზადებს.
სასადილოში არის ნარდი და ბილიარდი
პატივისცემით „კაფე-პარიზის" წინანდელი მწარმოებელი
(თ. 253) დიმიტრი ურ. ბიბიბერია და ნ. გ. ქურთაური

ქ. თბილისში დაარსდა
მელნის ქარხანა
„ალაროდია"
ამზადებს საუკეთესო საკანცელარიო მელანს,
ალიზარინის ფერისას
პირველხანად ქარხანა გაჰყიდის მელანს ორ-ორ გირვანქიან ბოთლებით.
ლაზარეთებს და სამხედრო დაწესებულებათ შეღავათით დაეთმობათ.
მელანი პირის გადასაღებადაც (კოპიროვკა) კარგია.
დაკვეთა დაუყოვნებლივ სრულდება
ადგილობრივ თუ გაგზავნით.
საჭიროა აგენტები, როგორც თბილისში, აგრეთვე სხვა დაბა ქალაქებშიაც
მისამართი: თბილისი, მოსკოვის ქუჩა, № 10, „ალაროდია".
(თ.—228—თ.)

გამოცემა „ამხანაგობისა"
გამოვიდა და იყიდება ყველგან
„ბედი ქართლისა"
ნიკ. ბარათაშვილის
სრული ფაქსიმილე
ფასი ერთი მანეთი.

წიგნი წარმოადგენს სრულს ასლს ნ. ბარათაშვილის ხელნაწერისას (ვეზირიშვილის ვარიანტი).
ვისაც ფოსტით უნდა გამოწერა, უნდა მიმართოს: Тифлисъ Бол. Ванкская № 12. ივანე მათეს ძეს ნაცვლიშვილს.

ჯვარედინს გზაზე

ერთს დროს ჩვენი სამშობლო ჯვარედის გზაზე იდგა. ერთი გზა რომ დასავლეთისკენ მიდიოდა, მეორე სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ იყო მიმართული და ევროპიელ ჯვაროსანთა რაზმები თუ არაბ-სპარსელ სოვდაგართა ქარავნები ერთი მეორეს ხვდებოდნენ საქართველოს მიწაწყალზე. ამ ხშირი მიმოსვლისა და ხანგრძლივი ურთიერთობის კვალი დღესაც ნათლად ატყვია ჩვენს ქვეყანას. ჩვენი ეროვნული კულტურა დასავლეთ-ევროპიული და წინა-აზიური ელემენტების თავისებური შეუღლებაა. ეს ყველაფერში აშკარად სჩანს: ხუროთმოძღვრებასა, მხატვრობასა, ლიტერატურასა, ხალხურ ჩვეულებებსა და ზნეობრივ შეხედულებებში. დედამიწის ზურგზე სხვაგან იშვიათად მოიძებნება ასეთი ორიგინალური სინტეზი.

ჩვენ გვაქვს წვეტიანი კოშკები და ციხე-სიმაგრეები, როგორც ევროპიელებს და ჩვენ გვაქვს თაღიანი ქარვასლები, როგორც არაბებსა, სპარსელებსა და მცირე აზიელებს. ჩვენი საეკლესიო კედლების მხატვრობა ბიზანტიურ ფრესკებს წააგავს, ჩვენი წიგნების სამკაულები სპარსულ ინდოურ მინიატიურებს. ჩვენს კულტურას ევროპიულ კულტურის მსგავსათ ძველი ბერძნული განათლება უძევს საფუძვლად და ჩვენც ევროპიელებთან ერთად რაინდობისა და ფეოდალური წესწყობილების საფეხური განვლეთ. მაგრამ ინდოელების სიბრძნესა, სპარსელების პოეზიასა და არაბების ფხიზელ მეცნიერებას სხვებზე ადრე დავეწაფეთ და სხვებზე უფრო ადვილად დავახწიეთ თავი საშუალოსაუკუნოებრივ ვიწროობას. ჩვენი დიდი მწერლები ერთნაირად იცნობდნენ ბერძენ ფილოსოფოსებსა და სპარსელ მგოსნებს და ჩვენი დიდი მთარგმნელები გულმოდგინეთ აქართულებდენ როგორც არისტოტელისა და ნეოპლატონიკოსების ისე ფირდუსისა და თახრედინის ნაწარმოებებს. ჩვენი ზნეობა ინდივიდუალისტური იყო, ისევე როგორც დასავლეთ-ევროპიული, მაგრამ მისი სიმძაფრე გაანელა აღმოსავლეთურმა მსოფლიო მგრძნობიარობამ და შემეცნებამ.

ჩვენი ეროვნული სახე ძალდაუტანებლად ყოველთვის დასავლეთისა და სამხრეთისაკენ იყო მიმართული. ზურგი, პირიქით, დიდს ბუნებრივს ზღუდეზე გვქონდა მიბჯენილი. ეს იყო მაღალი მთაგრეხილი, რომელსაც ჩრდილოეთით ცივი და ნაკლებ სტუმართ-მოყვარე ქვეყნები აკრავდა. აქ თითქმის დღესაც ყველაფერი უცხოა ქართველობისთვის. ნიადაგის ზედა პირი ჩვენი ქვეყნის ზედა პირს არა ჰგავს, ჰავა ჩვენს ჰავას. აქ ცოტაა ისტორიული ნაშთები და მათ შორის არ მოიპოება არც ჩვენებური მოლუშული ციხეები, არც ჩვენებური ნათელ-მარმარილოსებური ტაძრები. მკვიდრთათვის გაუგებარია ჩვენი რაინდული და ინდივიდუალისტური შეხედულებები, ჩვენ კიდევ მათი ბუნდოვანი მისტიციზმი და მათი უპიროვნო მორალი გვეუცხოვება.

უბედურმა შემთხვევამ დაგვაახლოვა ამ უცხო ქვეყანასთან და ჩვენი სულიერი შეუღლება უკანონოა. მეცამეტე საუკუნეში სპარსეთის კულტურა ველურმა მონგოლებმა დაამხეს, მეთხუთმეტე საუკუნეში ოსმალებმა ბიზანტიის იმპერია დაიპყრეს. ჯვარედინი გზა გადაიჩიხა და საქართველო კულტუროსან კაცობრიობას მოსწყდა. ერთი ბილიკი-ღა დაგვრჩა, კავკასიის მთაგრეხილისკენ მიმავალი. და საქართველო, დიდი ყოყმანის შემდეგ იძულებული გახდა ამ გზისთვის მიემართა. მაგრამ ამ გზით სიარულმა ყველაფერი მოგვიტანა გარდა ბედნიერებისა და კულტურული აყვავებისა.

დღეს მსოფლიო ომის ცეცხლში ხელახლა იცვლება ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო მდგომარეობა. ადვილი შესაძლებელია, რომ ჩვენმა ეროვნულმა კულტურამ ხელახლა თავი დააღწიოს ვიწრო ბილიკებსა და ფართო ჯვარედინ გზაზე გამოვიდეს. როგორც არ უნდა დამთავრდეს დღევანდელი ომი, წინა-აზიის გამოღვიძება უეჭველად მოსალოდნელია. რუსეთი და გერმანეთი ერთგვარი ენერგიით მიისწრაფიან შუამდინარისაკენ, სადაც ბიბლიური გადმოცემის მიხედვით ერთს დროს ამ ქვეყნიური სამოთხე იყო. დღეს თუ არა ხვალ უსათუოდ დამთავრდება ბაღდადის რკინის გზა, რომელსაც გერმანელები აშენებენ და ტრაპიზონისა და აზრუმის შტოები, რომელიც რუსებმა დაიწყეს. ჩვენი უახლოესი ევროპიული მეზობელი, ბალკანეთიც, იღვიძებს და ევროპიულ პროგრესის გზას ადგება. ეს გარემოება ჩვენს საუკეთესო იმედებს უნდა ასაზრდოებდეს. თუ საქართველოს მოსაზღვრე ქვეყნებში ბარბაროსობის წყვდიადი გაიფანტა, ჩვენ თვალწინ ძველი დიდი გზები გამოჩნდებიან და ხანგრძლივი გათიშვის შემდეგ იმ კულტუროსან ოჯახს დავუბრუნდებით, რომელსაც დიდი ხანია ვეკუთვნით ჩვენი სულითა და ჩვენი წარსულით.

ვ. ლელიანი.

ომის ამბები

ბრძოლის ველზე

გერმანელთა მოლოდინი გამართლდა. მოკავშირეთა სახელმწიფოებმა ზავის შესახებ მოლაპარაკების წინადადება არ მიიღეს. მათი საერთო სურვილია განაგრძონ ომი მანამდის, სანამ მოპირდაპირე იარაღს არ დაჰყრის და თავის თავს დამარცხებულად არ გამოაცხადებს. უეჭველია, ამ გზას თვით გერმანეთიც დაადგება და ჩვენც მოწმენი გავხდებით უფრო საშინელ, უფრო სასტიკ ბრძოლათა. ჩვენა გვგონია, რომ გერმანეთი სწორედ იმ დროს, როდესაც ზავის წინადადებას იძლეოდა, მასთანვე საერთო და ფართე ოპერაციისთვისაც ალბად სადმე გამმაგებით ემზადებოდა. ეს აუცილებლად საჭიროა მისთვის, რომ უფრო მეტი შთაბეჭდილება მოახდინოს მეომარ სახელმწიფოთა მცხოვრებლებზე და ერთხელ კიდევ დაამტკიცოს, რომ მის მიერ ზავის შესახებ წინადადების წარდგენა სრულებითაც არ ნიშნავდა მის დასუსტებას და დაუძლურებას. პირიქით, უკანასკნელი შეეცდება დაამტკიცოს, ვითომ მას ჯერაც ძალიან ბევრი ძალა შესწევს და მზათაცაა ყოველ წამს კვლავინდებურად შეუდგეს თავის მიზნის განხორციელებას. ვიმეორებთ, ამას ჩაიდენს გერმანეთი მხოლოდ ტაქტიკურ მოსაზრებით.

საინტერესოა, ამიტომ, ვიცოდეთ, თუ რომელ სახელმწიფოს შეესევა. დანამდვილებით სად ახმაურდება და რომელ ბრძოლის ველს გაიხდის, რუმინეთის შემდეგ, მთავარ სამოქმედო ასპარეზად? საზოგადოდ მიღებულია როგორც უტყუარი ფაქტი, რომ ჰინდენბურგის დანიშვნას თან უნდა მოჰყოლოდა შემდეგი არსებითი ცვლილება გერმანეთის სამხედრო შტაბის მოქმედებაში. აქტიური მოქმედება, გენერალური ოპერაციები აღმოსავლეთით, რუსეთის და ბალკანეთის წინააღმდეგ, დასავლეთის ბრძოლის ასპარეზზე კი მტრის შეკავებით აქტიური თავის დაცვა. დღევანდლამდის ასეთგვარი მოსაზრება კიდევაც გამართლდა. ვერდენის ოპერაციის შემდეგ გერმანელნი მართლაც მხოლოდ მოგერიებითი ტაქტიკას ადგანან და არსად თითქმის არ ჰფიქრობენ მთავარ და გადამწყვეტ ოპერაციის დაწყებას. იძულებული გახდნენ თვით ვერდენის გარშემო აღებული ფორტებიც კი დაეტოვნათ და სამაგიერო იერიშები არსად დაიწყეს. ყოველივე ეს ერთად მოწმობს იმას, რომ მოპირდაპირემ იგრძნო საფრანგეთის და ინგლისის ძალა. არსებით შედეგს აქ გერმანეთი ვერ ეღირსება.

აღმოსავლეთით გერმანელთ, რუმინეთის შემდეგ, რამოდენიმე მთავარი და მნიშვნელოვანი სამოქმედო ასპარეზი აქვთ. სოლუნისა, იტალეთის ბრძოლის ველი და აღმოსავლეთის რუსეთის ასპარეზი, რიგიდან მოყოლებული ვიდრე დუნაიამდე. სამსავე მიდამოს თავისი განსაკუთრებითი მნიშვნელობა აქვს და მისდა მიხედვით, თუ უპირველესად რა უფრო აინტერესებს მოპირდაპირეს, დაიწყებს კიდევაც ამა თუ იმ ასპარეზზე მოქმედებას. გენ. სარაილის ჯარს დავალებული ჰქონდა სოლუნიდან ბულგარეთს შესევოდა, მოეწყვიტა ოსმალეთი ცენტრალურ სახელმწიფოებიდან და ამ რიგად დახმარებოდა რუმინეთის ჯარს ავსტრიელთა წინააღმდეგ ბრძოლაში. სამწუხაროდ ეს ასე არ მოხდა. რუმინეთის ჯარი უფრო ადრე დამარცხდა, ვიდრე გენ. სარაილი თავის დანიშნულებას განახორციელებდა. ბულგართა და ოსმალთა ჯარი უფრო ძლიერი გამოდგა. საბერძნეთის პოლიტიკამ ამავე დროს სახელოვან გენერალს ხელფეხი შეუკრა და იძულებული გახადა გულხელდაკრეფილი ემზირნა, თუ როგორ ანადგურებენ მოპირდაპირენი ახალ მოკავშირეთა ძალებს. დღეიდან სოლუნის ასპარეზმა სტრატეგიული მნიშვნელობა დაკარგა. თუ მაინცადამაინც მოკავშირენი ამ მიდამოს არ ეშვებიან, უფრო პრესტიჟის დასაცავათ. მაშასადამე, გერმანეთისათვის სოლუნს არსებითი მნიშვნელობა აღარა აქვს და არც გვგონია აქ ოპერაციებს ადგილი ექმნეს. სულ სხვაა იტალეთი. ომში უკანასკნელის ჩარევამ თავიდანვე არსებითად ვერ შესცვალა ძალთა განწყობილება მეომარ სახელმწიფოთა და ომის მსვლელობაზე მოკავშირეთა სასარგებლოდ გავლენა ვერ იქონია. თვით საზოგადოებას იტალეთისას ამავე დროს არ ეტყობა იმდენი ერთსულოვანება და გაბედულობა, როგორადაც საჭიროა დღევანდელ დღეს ძლიერ მტერთან ბრძოლისათვის. თავის სამხედრო ძლიერებით იგი უფრო მეორე ხარისხოვან სახელმწიფოს წარმოადგენს. როგორც მაგალითებიდან ვიცით, გერმანელნი უპირველესად უფრო სუსტ სახელმწიფოს წინააღმდეგ ილაშქრებენ ხოლმე და მთელ თავიანთ სიძლიერეს აქ იჩენენ. ადვილი მოსალოდნელი იყო, მაშასადამე, რომ მოპირდაპირე რუმინეთის შემდეგ უპირველესად სწორედ იტალეთის წინააღმდეგ გაილაშქრებდა. ეს უეჭველად ასე მოხდებოდა, რომ ერთი გარემოება მათ ხელს არ უშლიდეს. საქმე ის არის, რომ ბრძოლის ველის მიდამო იტალეთში მეტად უხერხულია საბრძოლველად, ორივე მოპირდაპირეს უშველებელ მთებში უხდებათ ბრძოლა. ზამთრობით ამგვარ ადგილებში პირდაპირ წარმოუდგენელია ოპერაციების წარმოება. სწორედ ეს გარემოება აიძულებს გერმანეთს იტალეთს თავი დაანებოს და ისევ რუსეთისაკენ იბრუნოს პირი.

გენერალურ ოპერაციის წარმოება ზამთრობით მხოლოდ რუსეთის ასპარეზზეა მოსალოდნელი. საშინელი ყინვები, პირიქით, აქ ერთგვარად ეხმარება ორსავე მოპირდაპირეს, რადგან იყინება აუარებელი ტბები, ჭაობები და შესაძლებელი ხდება თავისუფალი მოძრაობა ამ ადგილებში. ამასთანავე გერმანეთისათვის რუსეთის დამარცხება უფრო ხელსაყრელია, ვიდრე საფრანგეთისა. ამაზე დიდ ბედნიერებას რაღას ეღირსება გერმანეთი, რომ რუსეთი მეომარ სახელმწიფოთ ჩამორჩეს და აუარებელი გერმანეთის ჯარი, რომელიც დაბანაკებულია რუსეთის ასპარეზზე, გაანთავისუფლოს. ამასთანა-

ვე, გერმანეთმა იცის, რომ ზამთარში რუსეთს ძალიან უჭირს სამხედრო მასალის მოწოდება, რადგან თეთრი ზღვა გაყინულია და ერთად-ერთი გზა ვლადივოსტოკისა კი, სამაგიეროდ, ძალიან შორია.

X.

ჟურნალ-გაზეთებიდან

ზავის გარშემო.

ზავის თაობაზე დაწყებულმა მოლაპარაკებამ ყველა გაზეთებიც აალაპარაკა. „უ. რ." სამხედრო მიმომხილველი პ. ბურსკი ზავის საკითხს ეხება და გაიხსენებს 1909 წელს ჟურნალ „Deutsche Revue"-ს იანვრის ნომერში დაბეჭდილ გრაფ შლიფენის წერილს „Der Krieg in der Gegenwart"-ს ამ წერილის ავტორს, იმპერატორი ვილჰელმი, თურმე ყველაფერში ეთანხმებოდა. ეს წერილი მას ჯარის უფროსთა თანადასწრებით წაუკითხავს. მაშინვე აუწონ-დაუწონიათ მოსალოდნელი ომი გერმანეთის წინააღმდეგ შეერთებულ მოკავშირეებისა. გაუთვალისწინებიათ სტრატეგიული და ტაქტიკური საკითხები. ვილჰელმს ცოცხალი ფერადებით დაუსურათებია გერმანელების ძლევამოსილი გამარჯვება მოკავშირეებზე. ბოლოს ლოღიკურის თანდათანობით მისულა იმ მომენტამდე, როდესაც რუსეთსა და საფრანგეთში კაი მანძილზე უკუგდებული მოპირდაპირენი, მაინც იარაღს არ დაჰყრიან და ახალ და ახალ ადგილას განაგრძობენ ბრძოლას.

ასეთ შექმნილ გარემოების თაობაზე ვილჰელმს უთქვამს: „ასეთი ომის წარმოება ისეთს დროს, როდესაც ეროვნების არსებობა ვაჭრობა-მრეწველობის შეუფერხებლობაზეა დამყარებული, ყოვლად შეუძლებელია. საჭიროა სწრაფი გადაწყვეტა ბრძოლისა, რათა ქვეყნის ეკონომიური ცხოვრება კვლავ ამოძრავდეს. როდესაც მილიონიან ლაშქართა შენახვას მილიარდები სჭირდება, დაქანცულობის სტრატეგიას ადგილი არ უნდა ჰქონდეს". ეს სიტყვები ამ 8 წლის წინად არის ნათქვამი. ბურსკის აზრით, ვილჰელმს ჯერაც ვერ უპოვნია ისეთი ძლიერი პიროვნება, რომელსაც შეეძლოს ამ რვა წლის წინ გათვალისწინებულ და დღეს სინამდვილედ ქცეულ გაუსაქანჩიხიდან გერმანეთის გამოყვანა და უჩვენოს ნამდვილი გზა ძლევამოსილ საბოლოო გამარჯვებისაკენ.

29 გიორგობისთვეს მოპირდაპირეთა მიერ წამოყენებული ზავის პირობები იმისი მომასწავებელია, რომ გერმანეთი და მისი მოკავშირენი, მოქანცულნი თანამედროვე ომით, სცდილობენ თავიდან აიცილონ 1917 და შესაძლოა 1918 წლის მოსალოდნელი უდიდესი ამბები, რომლებიც მეხმედარს მოუვლენს მოპირდაპირეებს.

გერმანეთსა და მის მოკავშირეთ კარგათ ესმით, რომ მათი გამარჯვება ევროპაში დროებითი და წარმავალია. და რაკი მათ ხელთ იგდეს ბელგია, სერბეთი, მთაშავეთი, ნაწილი რუსეთისა, საფრანგეთისა და რუმინეთისა, გადასწყვიტეს მოკავშირე სახელმწიფოთა ფსიხოლოგიაზე იმოქმედონ და ზავის პირობებიც ამისათვის წამოაყენეს.

მოპირდაპირის სიუბედუროდ, მიწა-წყალის დაპყრობა საქმის მოგებას არ უდრის, თუ კი ცოცხალი ძალა დარაზმულათ არის გადარჩენილი და სულიერი განწყობილებაც ურყევლად არის შენახული.

ვისაც უფრო მაგარი ნერვები აღმოაჩნდება, გამარჯვებაც იმისიათ— ასე განაცხადა 1914 წელს გერმანელების სათაყვანო კერპმა ჰინდენბურგმა.

„უტრო როს." სწერს: გერმანეთი სწორედ დაუშრეტელია ეროვნულ-სახელმწიფოებრივ შემოქმედებაში. „შრომის ბეგარის" შემოღებისა და რუმინეთში გამარჯვების შემდეგ, მან კიდევ გადასდგა უდიდესი ნაბიჯი და მოკავშირეებს ზავზე მოლაპარაკება შესთავაზა.

ზავი! მილიონობით ხალხი მონატრულია მისი და მუდარებით იქცირება მისკენ. ომის საშინელება ყველას მაჯლაჯუნასავით დასწოლია... მაგრამ არის უფრო ძვირფასი რამ, ვიდრე ზავი. მოპირდაპირეთ არხეინად შეუძლიანთ ლამაზი სიტყვებით ილაპარაკონ ზავის თაობაზე. მათთვის ომის დასასრული ძლევამოსილ გამარჯვებასა და დიდებას უდრის. თავის ქვეშევრდომთა თვალში მოპირდაპირე სახელმწიფოთა მთავრობა ამ ნაბიჯით გამარჯვებასთან ერთად სახელოვან დაფნის გვირგვინითაც იმოსება, გერმანეთმა მარჯვე დრო შეარჩია, ზავზე დასალაპარაკებლად.

ჩვენი მდგომარეობა კი უფრო მძიმეა. ზავის მოწოდება სამგლოვიარო ჰანგად გაისმის ჩვენში. ეხლა ომის დასრულება დასასრული იქნება რუსეთის მსოფლიო გავლენისა და რუსეთი მეორე ხარისხოვან სახელმწიფოდ გადაიქცეოდა.

ახალი სახელმწიფო

შვეიცარიაში მომხდარა თათბირი, რომელსაც დასწრებიან ავსტრიისა, გერმანიისა და მთაშავეთის წარმომადგენელნი. განზრახულია შეადგინონ ახალი სამხრეთ სლავიანთა სახელმწიფო ავსტრია-უნგრეთის მეთაურობით. თათბირს დასწრებია მთაშავეთის პრემიერ-მინისტრად ნამყოფი მიუშკოვიჩი, რომელიც ამას წინად მოკავშირეებს მთაშავეთის ერთგულებას ეფიცებოდა. ამ სახელმწიფოში შევა: სერბეთია, მთაშავეთი, კროაცია, ბოსნია-ჰერცოგოვინა, დალმაცია, სლავონია.

რუმინეთი

რუსეთის ჯარის მოქმედება

მას მერე, რაც რუსეთის ჯარმა კარპატებში შეუტია მოპირდაპირეს თითქმის 7—10 ვერსამდე წინ წაიწია და მოლდავიიდან სამოქმედო ასპარეზი ტრანსილვანიაში გადავიდა.

ეხლა რუმინელების ჯარის ბრძოლის ხაზი მარჯვენა ფრთაზე, მდ. ოიტუზის სამხრეთით 160 ვერსზეა გაჭიმული.

ეს ხაზი მხოლოდ რუმინეთის ჯარის ანაბარად არის.

მოლდავია-ბესარაბიის ხაზი

გ. მიხაილოვსკის აზრით, მოპირდაპირის წინ სვლას მოლდავიიდან ბესარაბიამდე, ცოცხალი ძალის გარდა, დიდათ შეაფერხებს ბუნებრივი დაბრკოლებანიც ადგილმდებარეობისა. აქ მათ წინ ელობება მდ. სერეტის და მერე მდ. პრუტის ხაზი.

მაკედონია

„რ. სლ." სამხედრო მიმომხილველი სწერს: მაკედონიაში უფრო ადვილია მოპირდაპირისათვის გამარჯვების მიღწევა. იქ, როგორც სჩანს გენ. სარაილი მონასტირის აღების შემდეგ სტრატეგიულ მოგერიებას აწარმოებს.

საბერძნეთი

მაკენზენი

საბერძნეთის მეფე კონსტანტინე, თურმე დღე-დღეზე ელის საიდუმლო მოკავშირეთა ლაშქარს. მაკენზენ რუმინეთიდან განზრახვა აქვს გერმანელ-ბულგართა ჯარი გაგზავნოს საბერძნეთში. მიხაილოვსკის აზრით, თუ მაკენზენმა საბერძნეთს დიდი ჯარი მიაშველა, აქ მისი გამარჯვება უფრო დიდს ზნეობრივს გავლენას მოახდენს, ვიდრე ბუქარესტის დამხობა.

მეფე კონსტანტინეს გეგმა

„ნ. ვრ."-ის ცნობებით, მეფე კონსტანტინე ჯარს აგროვებს თესალონიაში, სალონიკში მოქმედ ფრანგთა ჯარის ზურგის მხარეს 65 ვერსზე. პელოპონესიდან 20 ათასი მეომარი გადმოიყვანა ათინას გარშემო მდებარე ადგილების სადარაჯოდ.

მეფე კონსტანტინე და ფალკენჰაინი

„ტაიმს"-ი სწერს: მეფე კონსტანტინე და ფელდმარშალი ფალკენჰაინი ძველის ძველი მეგობრები არიან. მათ ერთად უსწავლიათ ბერლინის სამხედრო აკადემიაში. მათი მეგობრობა, თურმე, მეტის მეტათ მჭიდრო და გულწრფელია.

საბერძნეთის გარემოცვა

„ნ. ვრ."-ის ცნობებით, საბერძნეთის სანაპიროთა გარემოცვამ თავისი ნაყოფი უკვე გამოიღო; ათინაში სანოვაგე ერთი მესამედით შემცირდა პირველ დღესვე.

სამხედრო თათბირი

„Berlingecke Tidende"-ს რომიდან ცნობა მიუღია, რომ გერმანელთა მთავარ-ბანაკში სამხედრო თათბირი მომხდარა, რომელსაც დასწრებია გერმანეთის და ავსტრიის იმპერატორები, ბულგარეთისა, ვიურტემბერგისა, საქსონიისა და ბავარიის მეფენი, ფელდმარშალი ჰინდენბურგი, ჰეტცენდორფი და ჰერცჰერცოგი ფრიდრიხი. ამ თათბირზე ფრიად მნიშვნელოვანი სამხედრო საკითხები გადაუწყვეტიათ. განზრახულია ყველა ასპარეზზე შეაჩერონ მოქმედება და მხოლოდ რუმინეთის ასპარეზზე განაგრძონ მედგარი მოქმედება.

ამ ცოტა ხანში განზრახულია ბუქარესტში მოიწვიონ სამხედრო თათბირი.

ვილსონის დესპანი

ვაშინგტონიდან იტყობინებიან: შეერთებულ შტატების პრეზიდენტი ვილსონი ამ ცოტა ხანში ევროპისაკენ გაისტუმრებს თავის საგანგებო დესპანს პოლკოვნიკ ჰიუზს, რომელსაც დაევალება მოკავშირე სახელმწიფოებს გერმანელების მიერ წამოყენებულ ზავის პირობებზე მოელაპარაკოს.

გრაფ კაროლის აზრი.

„მორნინგ პოსტი"-ს ბუდაპეშტში მყოფი თანამშრომელი იტყობინებს: რუმინეთის ჯარში სერჟანტათ მყოფი, უნგრელთა დამოუკიდებელ პარტიის ბელადი გრაფი კაროლი ბუდაპეშტში დაბრუნდა. მან განაცხადა, რომ საჭიროა ყოველ ღონისძიების მიღება ზავის ჩამოსაგდებად. მოკავშირეებს შესაწყნარებელი პირობები უნდა წარუდგინოთ. მისის აზრით, უნგრეთისათვის არავითარი აზრი აღარა აქვს ამ საშინელ სისხლის მღვრელ ომის გაგრძელებას.

უკანასკნელი ცნობები

„რუს. ინვ." სწერს: ვლახეთის მიდამოებში გამარჯვებას მოწინააღმდეგე არ დასჯერდება და დღეის შემდეგ ბრძოლას უფრო მეტის სისასტიკით აწარმოებს; გაბრაზებული მოწინააღმდეგე სასოწარკვეთილებამდე მივა. ამას უნდა ანგარიში გავუწიოთ და უნდა მოველოდეთ ახალს იერიშებს, ეს იერიშები უფრო ძლიერ გამოხატული და გადამწყვეტი იქნება, მაგრამ ეს ბრძოლა დიდხანს არ გაგრძელდება, როგორც არ გაგრძელდა ვერდენთან და მდ. სომაზეთ.

—

„ბირჟ. ვედ." სწერს: გერმანელებისაგან შერიგების წინადადება ამ ერთის წლის წინადაც მივიღეთ, თუმცა ეს წინადადება ნახევრად ოფიციალი იყო. როგორც მაშინ, ისე ეხლა წინადადებაზე უარი უთხრეს და ეს ადვილად ასახსნელიც არის. ვიდრე გერმანეთს სხვისი ტერიტორია უჭირავს, მანამდე ზავზე ლაპარაკი სულ მეტია.

—

ამ ბოლო დროს წყალქვეშათა ბრძოლა გაუჩადებიათ. დაუღუპიათ 79 გემი. 40 გემი მოკავშირეებს ეკუთვნით, 39 ნეიტრალ სახელმწიფოებს.

—

სამხედრო პირთა ცნობით, დორნა ვატრიდან ჩრდილოეთით მოწინააღმდეგე ინიციატივას იჩენს, ხოლო სამხრეთით მოკავშირეებს მიაქვთ იერიში. ეს იერიში შესამჩნევ წარმატებით მიმდინარეობს. რუმინელნი ბუზეოდან 15 ვერსის სიგრძეზე სდგანან, ეს იმის ნიშნავს, რომ მას აქეთ, რაც მოწინააღმდეგემ ბუქარესტ—პლოეშტი დაიპყრო, ექვსის დღის განმავლობაში, მხოლოდ 40 ვერსით წაწეულან, მოკავშირეთ, როგორც ეტყობა, იალომიცას დაშორდნენ.

რას ამბობენ ზავის გამო

ფრანგული პრესა. „ჟურნალ-დე-დება" სწერს: „ჩვენსა და მტრის შუა ორგვარი უთანხმოება არსებობს: ზავის ნივთიერ პირობების გამო და ზნეობრივი მხრით. პირველის შესახებ გერმანელთ საპასუხოდ აქვთ გულწრფელობის მეტად მარტივი საშუალება: გამოაცხადონ საზავო პირობები განსაზღვრულ პუნქტებით და ნათელ ფორმულებით კი არ ჩამოაყალიბონ. რაც შეეხება მეორე მხარეს, ზნეობრივს, ამისი გადაჭრა მხოლოდ ერთის გზით შეიძლება: საფრანგეთი და მისნი მოკავშირენი საზავო მოლაპარაკების წინაშე ისე უნდა წარსდგნენ, როგორც საზიზღარ თავდასხმის მსხვერპლნი, როგორც უფლებისა და ცივილიზაციის დამცველნი და არა როგორც შენანებული ცოდვილნი. ზავის წინაშე უნდა წარსდგეთ, როგორც გამარჯვებულნი, სრულის რწმენით, რომ ავინაზღაურებთ ყოველ წანახდენს. გერმანეთმა უნდა ჰზღოს ყოველისფერი, რაც კი წაჰხდინა მშვიდობიან მცხოვრებთ. იგი ისე მოგვექცა, როგორც ავაზაკი და მძარცველი შუაღამისას უდანაშაულო მგზავრთ ჯვარედინს გზაზე. ჩვენ შეგვიძლიან ყოველგვარი სატერიტორიო საკითხი განვიხილოთ, მაგრამ კონფლიკტის ზნეობრივ შეფასებას კი ოდნავაც არ უნდა შევეკაროთ.

„ევენმანი" სწერს: „ჩვენი პასუხი ნათელი და ფრიად მარტივი იქნება: ზავის პირობებად ვითხოვთ დათრგუნვილ უფლების აღდგენას, ელზას ლოთარინგიის აღდგენას და მომავალ მშვიდობიანობის სრულს გარანტიას. საკმარისია გავიხსენოთ, რომ მოკავშირენი მოსალაპარაკებლად სხვა ნიადაგს ვერ მონახვენ".

კლემანსო ხაზს უსვამს, რომ გერმანელები მხოლოდ სამშვიდობო მოლაპარაკებას ჰმართავენ, მაგრამ თავიანთ პირობებზე კი არას ამბობენ. „თუ ეს იქნებოდა ფრანგთა ზავი", მაშინ შეგვეძლო მოლაპარაკება გვევმართა, მაგრამ თუ გერმანელთა ზავია, მაშინ სიტყვების ხარჯვა ზედმეტია.

„ეკო დე პარი" სწერს: „ეს მხოლოდ მანევრია, რომელიც დიდიხანია მომზადებული ჰქონდა გერმანეთს სადემონსტრაციოდ მოეხდინა. რუმინეთის გამოსვლამ და ინგლისის სამრეწველო მოქმედების ზრდამ შეაჩქარა იგი. რუმინეთის დამარცხებამ და გერმანეთის სამოქალაქო მობილიზაციამ ხმა აამაღლებინეს მას". გაზეთი იმედოვნებს, რომ მოკავშირენი გულს არ გაიტეხენ და უფრო თამამად დაიწყებენ შეტევას სალონიკისა თუ დასავლეთის მხრით.

„ჟურნალი" [illegible] ამ მანევრით [illegible] ამშვიდოსო".

„პტი ჟურნალი" სწერს: „გამოცდილი თამამი მანევრით გერმანეთი სცდილობს „ზავით" თვალი აუხვიოს მთელს ქვეყანას, ვითომც მზადაა ხელი აიღოს ხალხთა რბევაზე, მკვლელობაზე და ფიცის გატეხვაზე.

„ეკო დე პარი" ამბობს: „თუ მოკავშირენი დაიწყებდნენ მოლაპარაკებას გერმანეთთან ზავის შესახებ, მაშინ მეტად გასაჭირში ჩავვარდებოდით. რაი შველება თუნდა, ვთქვათ, დასახიჩრებულს რუსეთს? მან უნდა თვალი მიაპყროს შორეულს აღმოსავლეთს. ეს გამოიწვევს ჩვენი კავშირის ჩაშლას. გერმანეთი რაკი მორჩება ამ მხარის განადგურებას, ახალ გეგმას შეადგენს საფრანგეთის დასანგრევად, და იმ დღეს, როდესაც გერმანეთი მოისურვებდა პარიზის აღებას, მას არავითარი შიში არ ექნებოდა, რომ რუსის ჯარები ოდესმე მაინც შევლენ კენიგსბერგში. გერმანეთს მაშინ აღარ მოუნდებოდა კორპუსების გადმოყვანა რუსეთის ფრონტზე, როგორც ეს მოხდა 1914 წ. მარნაზე ბრძოლის დროს".

ინგლისური პრესა. „ტაიმსი" სწერს: „გერმანელთა საზავო წინადადება სრულიად არ შეეფერება იმ მიზანს, რასაც ჩვენ ვემსახურებით. ვფიქრობთ, მათი გამოსვლა არავითარს შთაბეჭდილებას არ მოახდენს ნეიტრალ სახელმწიფოებში. გერმანეთი თვითონ იმცირებს თავს, როდესაც მიმართავს მათ შუამდგომლობის გასაწევად.

„დეილ-ტელეგრაფი" ამბობს: „გულწრფელია თუ არა გერმანეთი, როდესაც საზავო მოსალაპარაკებლად ხმას იმაღლებს? იქნება ეს ნიშნავს, რომ ხელს იღებს იგი ტერორის ძველს პოლიტიკაზე? მაინც და მაინც დიდი იმედები არ უნდა ვიქონიოთ. ჩვენ ჯერ კიდევ არ ვიცით, რა პირობებს იძლევა, რომ ზავი დავდოთ.

იტალიური პრესა. „კოკუმანი" შენიშნავს: „არც ერთი მოკავშირე არ დასთანხმდება მტრის წინადადებას. ეხლა ზავის მიღება ნიშანი იქნებოდა მოკავშირეთა სრულ დამარცხებისა.

„ძიძი" სწერს: „გერმანეთი დარწმუნდა, რომ მოკავშირენი მტკიცედ ადგიან გარდაუწყვეტილებას, ომი ბოლომდე მიიყვანონ. მათი მდგომარეობა დღითი-დღე უარესდება. გერმანეთის ასეთმა გამოსვლამ უნდა გაამხნევოს მოკავშირენი.

„ასახი" შეჰნიშნავს: გერმანეთი ჰხედავს, რომ სამხედრო მასალა ელევა, ამიტომ სჩქარობს ზავის მალე ჩამოგდებას.

რუსული პრესა. რუსული გაზეთებიც სავსებით ეთანხმებიან მოკავშირეთა აზრს—„მოლაპარაკება შეუსაბამობა იქნებაო". სულ სხვა აზრს გამოსთქვამს დეპუტატი კერენსკი: „პრინციპიალურად თანავუგრძნობ ყოველგვარს საშუალებას, რაც კი მსო-

ემილ ვერჰარნი

I

ტელეგრაფმა მოიტანა ამბავი ბელგიელი პოეტის ემილ ვერჰარნის ტრაგიულ სიკვდილისა. უკანასკნელ დროს პოეტი გასული იყო სალექციო ტურნეში საფრანგეთის ქალაქებში და საჯარო ლექციებში გასისხლიანებულ ბელგიას" სტიროდა. კატასტროფის წინ ის ბრუნდებოდა ქ. რუანიდან, სადაც უკანასკნელად წაიკითხა ლექცია და როცა გაქანებულ მატარებელს რბენით ახტებოდა, ბორბლებს ქვეშ მოჰყვა.

ალბად ყველა, ვინც რასმე იტყვის პოეტის სიკვდილზე, მომასწავებელად მიიჩნევს მისი ბედის ამ მიმსგავსებას. ვერჰარნი მთელ თავის სიცოცხლეში ზვიად ქალაქებს და ქალაქებიდან ამდგარ საშინელებას უმღეროდა. მგოსანმა წინდაწინ იმღერა ის ექსპრესიც, რომლის ბორბლებს შემდეგ თვითონ მოჰყვა ქვეშ, ეს, „სივრცის მჭამელი, მჭამელი, რომელიც ყვირის წესრიგით, ვერტმისტერის საათების გულისმომკვლელ ცემაზე". შესაძლებელია, ისე არავინ ელოდა, როგორც ვერჰარნი ამ ომს, ახლა რომ ანადგურებს ევროპას და შეიძლება არავის ისე არ ეგრძნოს ის, როგორც მის წინასწარმეტყველს. ვერჰარნს თავიდანვე ჰქონდა ტემპერამენტი ტრიბუნისა და სამშობლო ბელგიის აოხრებამ იმაში ამოხეთქა მთელის სიძლიერით კეთილშობილი პატრიოტიზმი, რომლის პოეზია შეჰქმნეს ფრანგებმა, რაც ასე განასხვავებს იმათ სხვებისგან. უცრემლოთ არ შეიძლება კითხვა ვერჰარნის უკანასკნელ წიგნის „სისხლიანი ბელგიის" და მისი ჰიმნის „ლიეჟის გმირები" აქ ვერჰარნმა შეირჩინა ის სახელი, რომელიც დაიმკვიდრა მსოფლიოში, როგორც, თანამედროვეთა უკეთეს მომღერალმა, რომელმაც ნახა ახალი სიტყვა ახალი გრძნობის, წინ უსწრო და იწინასწარმეტყველა მოსალოდნელი ხიფათი კულტურისა. უნდა ითქვას ისიც, რომ ამ ომში მხოლოდ ფრანგებმა შეირჩინეს სიმღერის უნარი. ვერჰარნს ბანს აძლევდა უდიდესი ლირიკი თანამედროვე საფრანგეთისა პოლ კლოდელი, მისი უკანასკნელი პოემა—ჰიმნი „რესპუბლიკის დაღუპულ ჯარს" ამხელს, თუ რამდენად ახლოა ფრანგული ესტეტიზმი ცხოვრებასთანაც და ხელოვნებასთანაც, რომ ძველი ამბავია— „ვისაც მოუკლავს, ის მოკლავს"...

II

ემილ ვერჰარნი ყველაზე დიდი სახელია ჩვენის დროის. ჩვენ არ ვიცით როდის დაიწყო ის, ჩვენ ვერც იმის სიკვდილს შევურიგდებით. როცა ხედავთ მიმქროლავ ექსპრესებს, მყვირალე ავტომობილებს, ტრამვაის წითელ თვალებს და უზარმაზარ ქარხნების საკვამლეებს, არასდროს ფიქრობთ, რომ იყო ოდესღაც, და არც ისე შორს, დრო, როცა ესენი არ იყვნენ. ელექტრონის სინათლე, გაზების კრთომა, თითქო გაგძელებაა დღისა, და მთვარე ცაზე, რომელიც უწინდელ პოეტების ყოველი გრძნობის განცდის აცეცილებული მოწამე იყო, უკვე ჩამოვიდა რომანტიულ პიედესტალიდან და ეხლა მხოლოდ დიდი ელექტრონის შუშაა. ეხლა ბავშურ გულუბრყვილობად ითვლება უწინდელი ალხიმიკოსების კადნიერება და თუ ოდესღაც მხოლოდ ლეონარდო და ვინჩი ბედავდა ფრთებზე ოცნებას, მალე ეს ფრთები ყველას გვექნება. დიდებითი ცოდნის ზრდა, ტეხნიკური მიღწევანი თანდათან ჰშნიან ფანტასტიკას ყოფნისას წინააღმდეგის მაგიერ იქნება, გაჩქარებული რიტმი ცხოვრებისა—ქალაქია, დიდი ქალაქი, მთვრალი გოლიათი...

— „როცა ახალგაზრდა ვიყავ და ღარიბი,—ამბობს ე. ზოლა თავის წიგნში—„ჩემი სიძულვილი", ქალაქ გარეთ ვცხოვრობდი ერთი სახლის ბანზე, საიდანაც მთელ პარიზს ვხედავდი: და ეს უზარმაზარი ქალაქი, უძრავად და გულგრილად რომ იხატებოდა ჩემ ფანჯრის ჩარჩოში, მეჩვენებოდა ჩემის სიხარულისა და ნაღვლის მუნჯ მოწმედ. იმის წინ მე ვშიმშილობდი და ვტიროდი, იმის წინ მიყვარდა და ვიყავი ბედნიერი. და ჯერ კიდევ 20 წლისა ვიყავ და ვოცნებობდი დამეწერა რომანი, სადაც პარიზი და ზღვა სახურავები მის სახლებისა შემქმედი პირი იქნებოდა, რაღაც ანტიურ ხორის მაგვარი.

ჩემთვის საჭირო იყო ინტიმური დრამა სამ ან ოთხ ადამიანისა, ერთ პატარა ოთახში, ჰორიზონტზე კი უშველებელი ქალაქი, როგორც მიუცილებელი მოწმე, თავის ქვის თვალებით, რომ უყურებს ადამიანთა ტანჯვას"...

ემილ ზოლამ ეს შეასრულა, მაგრამ ინტიმურ დრამისთვის უფრო ახლო მაინც ლირიკა არის. და ეს ემარჯვა სწორედ ემილ ვერჰარნს. ვერჰარნმა გამოიტირა თავის მშობელ ფლანდრიის სოფლები, რომელნიც ქალაქმა აჩრდილებად აქცია და შემდეგ სოფლის აჩრდილებს თვითონაც შეჰყვა ქალაქში. საჭირო იყო მთელი გაურყვნელი ბუნება ფლამანდელის, მისი მიწასთან სიახლოვე, რომ დაენახა, უფრო ეგრძნო ახალი სანახავი. ვერჰარნის ლირიკა ერთი განუწყვეტელი კვილია, ხან ისტერიული, პაროქსიზმამდი მიღწეული გიჟური ბოდვა, ხან კათოლიციზმით შენელებული მისტიური ჭვრეტა. მისი ბუნება შეკერილია წინააღმდეგობით, ის ხან ჯალათია თავის სულის, ხან ატირდება უცოდველ ანგელოსივით. რომანტიზმი, ნატურალიზმი, სიმბოლიზმი ერთად გუბდება მის პიროვნებაში, ხოლო, მისი მჭრელი ხელი ყველაფერს აქცევს სიმბოლოდ, პოტმოსის ჰელის პატიმრიდან ვიდრე ჩვენ დღემდე არავის უმღერია ისეთი ცეცხლის ენით, ისე არავის გაუშტერებია თვალები საშინელებისთვის, როგორც ვერჰარნს და მის ნამღერ მონუმენტთა შორის აღიმართება მისი სახე, როგორც უდიდესი მონუმენტი მისტიურ ცეცხლის ჟონგლერის, გულთა მხილვისა და გალიუცინატისა...

III

ემილ ვერჰარნი „ახალგაზრდა ბელგიის" ერთი მებრძოლთაგანი იყო. „ახალგაზრდა ბელგია" დებიუტი იყო ბელგიის სიმბოლიზმის. ჟიროსთან, ჟილკენთან და როდენბახთან ერთად მან თავის მკერდზე გადაიტანა პირველი ბრძოლა ახალი ხელოვნებისათვის. სიმბოლიზმი ბელგიაში საფრანგეთიდან შემოვიდა და ვერჰარნში ნახა საუკეთესო გამომსახველი. მიუხედავად იმისა, რომ ვერჰარნს ბევრი აკავშირებდა ფრანგულ სიმბოლისტებთან, ის მაინც უწინარეს ყოვლისა ბელგიელი იყო ანუ უკეთ ფლამანდიელი, მხოლოდ აქ ერთხელ კიდევ დამტკიცდა, რომ უაღრესად გამოჩენილი ნაციონალი შემოქმედება, იმავე დროს, საკაცობრიო მნიშვნელობას არ არის მოკლებული.

ვერჰარნი დაიბადა 22 მაიისს 1855 წელს დაბა სენ ამანში, ანტვერპენის ახლო. ბავშვობა გაატარა ფლამანდიის სოფელში, მდ. შელდას ნაპირზე. ბავშვობიდანვე ის უყურებდა უზარმაზარ პორტს, ინგლისების ჯარს, გემებს და მეზღვაურებს. შემდეგში ის ხშირად უბრუნდება ამ ბავშვობის სურათებს და მის წინ აღიმართებიან კოშკები სახლების სახურავებს ზევით, შრომით დაღლილი ხალხი გროვად მიდის სანავიდან სახნავამდე, ურმების [illegible] რგოლი აღარ თავდება. საწყალი ფერმები, მწუხარე მინდვრები, რუხი მწყემსი წვიმიან ნოემბრების შემოდგომა რომ ატირებს, სახლების დამპალ სახურავებს, ქარიშხალი რომ ბურდავს, როგორც გობს და უბედურებას ატეხავს თავზე დანგრეულ ქოხებს ხეები ირყევიან და ტოტებში დაკიდებული გრიგალი ზუზუს, როგორც არღანი და ხევებიც გძელ პროცესიად მიდიან ჩრდილოეთისაკენ. ვერჰარნის შემოქმედებაში ტიპიური ფლამანდელია და ფლამანდელისთვის, რემი დე გურმონის თქმით, დამახასიათებელია უცნაური შეერთება მისტიციზმის მგრძნობელობასთან, სინაზის სიცოფესთან, ამბოხების მორჩილებასთან. ფლამანდრიის მცხოვრებნი უმეტეს შემთხვევაში დარჩნენ საშუალო საუკუნის სულის უფლებაში. ეს ის ქვეყანაა, სადაც ერთსა და იმავე დროს ღვთის მოყვარეც არის და გაუმაძღარი მეოცნებე და ავხორციანი, ძუნწი და ხელგაშლილი მფანტავი, ნაზიც და ველურიც. ვერჰარნიც აერთებდა ამ თვისებებს თავის დამბადებელ ერისას. ამას თან ემატებოდა კიდევ ესპანელი კონკვისტადორი, როგორც ფრანგ პოეტს ხოზემარია ჰერედიას, რომელმაც მარმარილოს სონეტებში სიმღერა უთხრა თავის გულად წინაპრებს. ფრანგებმა ვერ აპატიეს ვერჰარნს გიჟი გენია და ცეცხლიანი ბუნება, იგი ასე არ ენათესავებოდა მათ მოღლილ ესტეტიზმს და ყოველ ფრანგისთვის აუცილებელ პარნასიზმს, თუმცა ყველანი აღიარებენ, რომ ვერჰარნს დიდი პოეტური სული ჰქონდა. 1905 წელს, როცა ჟურნალმა „Le Beffroi"-მ მოახდინა ანკეტა, რომ დაესახელებინათ ათი საუკეთესო საფრანგეთის პოეტი, ვერჰარნმა ყველაზე მეტი ხმა მიიღო. კამილ ლემონიე, მაინც ასეთ პასუხს იძლევა:

„თანამედროვე ლიტერატურის ცირკში, რომელსაც დაეპატრონენ ჯამბაზები და მასხრები, რიტორთა გაბზინებულ სიტყვებში ვერჰარნი ბარბაროსია, რომელმაც შეიძინა მიზანტროფიული [illegible] და [illegible] ველურ სილამაზით ანთებულ ყვირილსა, მისი ლექსები ეცემიან [illegible] ყრუ და მძიმე ხმაურობით. და ეს ლექსები გვაგონებენ ხმაურეკლიდან ზარის რეკას, მანქანების ზუზუნს, წისქვილების ბორბლების ტრიალს, აუარებელ ურმების ჭრიალს. იმათში არის მრავალფერობა ოქროსი და მეწამულის, ანთებულ ქურიდან იჩეხებიან ძვირფასი ქვები და მრავალფერი მინები, სადაც ბრწყინავს მზე და სისხლი. უშუალო, მრავალსახიანი, მარად ნაწამები და ერთად-ერთი სდგას იგი თავისგან შექმნილ სახეების ქარბუქში, როგორც ძლიერი ბავშვი—ტიტანი...

IV.

ჩვენ მიზნად არ გვაქვს ამ ტიტანის თუნდ სილუეტი დავხატოთ. ვიტყვით მხოლოდ, რომ ვერჰარნი არ ამოიწურება თანამედროვეობით, რომელსაც მისცა სული და გამოთქმა. ის უკვდავია, როგორც უკვდავია ყოველი წამი მარადობის, რომელიც მიდის ხელმეორედ დასაბრუნებლად, როგორც უკვდავია ყოველი კვილი დაჭრილი სულის, რომელსაც ჰქონდა იმდენი სიმაღლე, რომ მსოფლიოს გაეგონა. ვერჰარნმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფლიო კონფლიქტის გადაჭრას მოახერხებს არა სისხლის ღვრით, არამედ შეთანხმებით. გერმანელთა წინადადებას მივიღებ იმ პირობით, თუ ყველა სადაო საკითხები წარედგინება განსახილველად ევროპის ყველა სახელმწიფოთა წარმომადგენლების კონფერენციას, ამასთანავე თუ ამ კონფერენციაში ფართო დემოკრატია მიიღებს მონაწილეობას. ასეთი შეთანხმება დაბეჯითებით გადასჭრიდა მსოფლიო კონფლიქტს. მანამდე კი ომის შეჩერება არ შეიძლება.

ამ სიმპატიურს წინადადებას ემხრობა მხოლოდ სათათბიროს მემარცხენე დეპუტატობა.

ახალი ამბავი

პეტროგრადის სააგენტოს დეპეშები გუშინაც არ მოსულა თბილისში.

ქართული დაწესებულებანი.

◆ **კრება.** პარასკევს, 9 ქრისტეშობისთვეს, საღამოს 8 საათზე, თავად-აზნაურთა დეპუტატების საკრებულოში (ბელინსკის ქუჩა № 2) გაიმართება საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წევრთა ჩვეულებრივი კრება მგოსნის ნიკოლოზ ბარათაშვილის დაბადების ასის წლის თავის აღსანიშნავად. ბ-ნი პ. ინგოროყვა წაიკითხავს მოხსენებას: „ბარათაშვილი და ქართული ლექსის ახალი პრობლემები" კრებაზე გარეშეებსაც შეუძლიანთ დაესწრონ.

◆ **ხარჯთ-აღრიცხვა.** მიწადმოქმედების დეპარტამენტის ცირკულიარის თანახმად საჭიროდ იქნა აღიარებული სახელმწიფოში შინაურ ცხოველების მოშენება, და ვინაც ამ საქმეს მოჰკიდებს ხელს, მთავრობისაგან ყოველგვარ დახმარებას მიიღებსო. ქართულმა სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებამ გადასწყვიტა შეუდგეს კარგი ჯიშის საქონლის მოშენებას საგურამოს მამულში და ამისათვის შემდეგი გეგმა-ხარჯთ-აღრიცხვა შეიმუშავა: 1) 60 ხბო 6 თვიდგან 1 წლამდე თითო 70 მ. სულ 4,200 მან.; 2) 2 ბუღა 600 მან. და 12 ძროხა 3,000 მ.; სულ 3600 მ.; 3) თუშური 2 ყოჩი 120 მან. და 20 დედალი ცხვარი 600 მ.; სულ 720 მ.; 4) იორკშირის 2 ტახი 600 მ., 6 ნეზვი ღორი 1,500 მ., სულ 2,100 მ.; 5) ანგორის ჯიშის 2 ვაცი 160 მ., 6 დედალი თხა 360 მ., 4 საჯდომი ცხენი 800 მან., სულ 2,400 მან., 7) საკვები მასალა ყველა ზემოჩამოთვლილ საქონლისათვის 13,775 მან.; 8) სამუშაო იარაღები 5,120 მან.; 9) მოსამსახურეები 18,800 მან.; 10) შენობის შეკეთება 5,000 მან.; 11) სხვა და სხვა ხარჯი 8,665 მან.; სულ 65,000 მან. ამ ხარჯთ-აღრიცხვას საზოგადოების საბჭო გაუგზავნის მიწადმოქმედების დეპარტამენტს.

◆ **კახეთის რკინის გზის საზოგადოების** გამგეობის თავმჯდომარეობაზე ნ. ნიკოლაძემ უარი განაცხადა. იმის მაგივრად არჩეულ იქმნა ფ. გოგიჩაიშვილი.

◆ **ქართულ საქალებო გიმნაზიასთან** არსებული მშობელთა წრე თავის საშუალებათა გასაძლიერებლად დღეს, 7 ქრისტეშობისთვეს საარტისტო საზოგადოების დარბაზში წარმოდგენას მართავს. წარმოდგენილი იქმნება ან. ჩეხოვის ცნობილი პიესა „ივანოვი". ეს სიმპატიური საზოგადოება სამი წელიწადია არსებობს და დახმარებას უწევს საქალებო გიმნაზიის ხელმოკლე მოწაფეებს. იმედია, ქართული საზოგადოება მიეშველება მშობელთა წრეს.

სხვა და სხვა ამბები.

◆ **დ. ჭიაბრიშვილის საქმე.** აჭარელთა დამცველი ვექილები პასუხისგებაში იყვნენ მიცემულნი ბრალმდებლის შეურაცყოფისათვის. აქაური ვექილების საქმე ადგილობრივ სასამართლოს გადაეცა, ხოლო დ. ჭიაბრიშვილისა პეტროგრადელ ვექილთა საბჭოს, რადგან იგი იქაურ ვექილთა წოდებაში ირიცხება. 15 ღვინობისთვეს, ვექილთა საბჭოს გაურჩევია ჭიაბრიშვილის საქმე და იგი უდანაშაულოდ უცვნია.

◆ **წარმოდგენა.** ოთხშაბათს, 7 ქრისტეშობისთვეს, ხარფუხის საზოგადო კლუბში გაიმართება ქართული წარმოდგენა. წარმოდგენაზე შესვლა უფასოა.

◆ **ჰოსპიტალი № 40.** აქაურ ჰოსპიტალ № 40-ში შავი სახადისაგან, 3 ქრისტეშობისთვეს გარდაიცვალა ექიმი ევგენი ნანეიშვილი. განსვენებული შვილი იყო ჩვენის საზოგადო მოღვაწის და პუბლიცისტის ალექსანდრე ნანეიშვილისა, რომელიც ნილი-ს ფსევდონიმით თანამშრომლობდა გაზეთ „ივერია"-სა და ჟურნალ „მოამბე"-ში.

◆ **მგოსანი კ. ბალმონტი** 9 ქრისტეშობისთვეს თბილისში ჩამოვა.

როგორც გავიგეთ, ბ-ნს ბალმონტს განზრახვა აქვს თბილისში გამართოს „რუსთველის კვირა". ერთ კვირის განმავლობაში უდიდესი პოეტი რუსეთისა წაიკითხავს „ვეფხის ტყაოსანის" თარგმანს და აგრეთვე რამდენსამე ლექციას რუსთველის შემოქმედების შესახებ.

◆ **უბედურება რკინის გზაზე.** 1 ქრისტეშობისთვეს კავკავის გზაზე სადგურ ხურდალანსა და გიუზდეკს შუა საფოსტო მატარებელი № 1 შეეხეთა მეორე სამგზავრო მატარებელს და დიდი უბედურობა დატრიალდა: მოკლულ იქმნა 28 სული, ხოლო დაჭრილა 15. როგორც გამოძიებიდან სჩანს, ამ უბედურების დამნაშავე სადგურ ხურდალანის მორიგე მსახური ყოფილა.

◆ **მსახურნი ეროვნების მხრივ.** ქალაქთა კავშირში ფრონტზე და ზურგს უკან მოსამსახურენი ეროვნების მიხედვით ასე განიყოფებიან: დაჭრილ და დაავადებულ განყოფილებაში რუსები 56,2°/o, სომხები 18,7°/o, ქართველი 14,6°/o, ებრაელები 4,7°/o, დანარჩენი ეროვნებისა 5,87°/o, ლტოლვილთა განყოფილებაში: სომხები 54,°/o რუსები 12°/o, ქართველები 11,8°/o, ოსები 4,2°/o, ებრაელები 4°/o, ხოლო დანარჩენ ეროვნებისა 5,4°/o. ახალ გზების გამყვან განყოფილებაში: რუსები 47,8°/o, სომხები 26°/o, ქართველები 21,°/o და ბერძნები 4,4°/o.

◆ **თ-დ ა. სუმბათაშვილის ახალი დრამა.** როგორც სატახტო გაზეთები გადმოგვცემენ, ჩვენს თანამემამულეს თ-დ ა. სუმბათაშვილს დაუწერია ახალი დრამა სახელად „საღამოს ნისლი", რომელიც მოსკოვში უკვე დადგმით და დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია.

◆ **ი. გრიშაშვილს** შუამდგომლობა აღუძრავს ნება დართონ გამოსცეს თბილისში ყოველთვიურად ქართული სამხატვრო-სალიტერატურო ჟურნალი „ლილი". პირველი ნომერი მომავალ წლის იანვარს გამოვა.

◆ **სახალხო სახლში** კვირას, 11 ქრისტეშობისთვეს, ვაჟა-ფშაველა გამართავს სამხატვრო-სალიტერატურო-სამუსიკო დილას ლექციით. 1) ლექციას წაიკითხავს დ. კასრაძე: ვაჟა-ფშაველაზე და ყაზბეგზე"; 2) წარმოდგენილი იქნება „სიმართლე"; 3) ლექსებს წაიკითხავენ ცნობილი მგოსნები; 4) სამუსიკო განყოფილება. ბილეთები იყიდება ამ თავითვე სახალხო სახლში ცალკე მაგიდაზე 12—2 საათ. და კანტორა „განათლებაში". ფასები 20 კ.-დან 1 მ.-დე.

◆ **დაიკარგა** 27 გიორგობისთვეს 13 წლის გოგონა, აცვია ცისფერი ზოლიანი კაბა გახუნებული, ქერა გაკრეჭილი თმა აქვს, ღრმა შავი თვალები, მსუქანი ლოყები, ძველი ნაცრის ფერი შალი ჰხურავს, ზოლიანი მატერიის ჩუსტები აცვია, სახელად მარია ჰქვია. თავის ძალომ მიაბარა მოსამსახურედ, ჩერქეზოვის ქ. № 95, ერვანდ ტერ-არაქელოვს. მათ სადმე გაუგზავნიათ, 27-ს, ბავშვი აღარ დაბრუნებულა, მაგრამ ტერ-არაქელოვს არ შეუტყობინებია პატრონისათვის. თუ ვინმემ ნახოთ, გთხოვთ შეატყობინოთ თუმანოვის შესახვევზე, სონა შაიშურაძეს, სახლი 24.

◆ **შემოწირულება.** პატივცემულმა პოლკოვნიკმა ილარიონ ისაკის ძე ხოსიტაშვილმა, (იროდიონ ევდოშვილის ძმამ) კეთილ ინება და ერთის წლით გამოუწერა ჟურნალი „ნაკადული" ბოდბისხევის სკოლას, რისთვისაც უღრმეს მადლობას ვუცხადებ. მასწავლებელი **ელიოზ ხუციშვილი.**

ქუთაისი.

ქუთაისის სემინარიაში ქართულ ენის მასწავლებელმა ბერ-მონაზონმა ონოფრემ (შუშანიამ), სხვა და სხვა მოსაზრებით, ქართულ ენის მასწავლებლობაზე უარი განაცხადა. როგორც ამბობენ, მის ადგილზე ნიშნავენ ქართული გიმნაზიის ქართულ ენის მასწავლებელს ბ-ნ ვ. ბერიძეს.

— წმ. ნინოს საქალებო სასწავლებლის ქართულ ენის მასწავლებელმა, ბ-ნმა ი. ჯ. კალაძემ დასაბუთებული მოხსენება წარუდგინა სამოსწავლო ოლქის მზრუნველს სასწავლებელში ქართულ ენის უფლების აღდგენის და დანარჩენ საგნებთან გათანასწორების შესახებ.

— ომში გამწვევი სამაზრო კომისიებს კვირაში ერთხელ აქვთ სხდომები,—სამშაბათობით.

— ქუთაისის მაზრის მარშალი თ-დი ერისთავი ამ ჟამად უკეთ არის.

— ქუთაისის გუბერნიის მარშალი თ-დი დ. ო. ნიჟარაძე ამ ჟამათ პეტროგრადში იმყოფება შავი-ქვის სალიკვიდაციო საქმეთა გამო.

ამ დღეებში, ქუთაისში მოელიან რუსეთის სასანიტარო საქმეთა მთავარ უფროსს მათ იმპერატორობით უმაღლესობას **პრინც ოლდენბურგელს.**

— ის ორი ვაგონი ფხვნილი შაქარი, რომელიც ქალაქმა მიიღო, ერთი ვაგონი დაწესებულებებს და ერთიც საზოგადოებას დაურიგა.

— ქალაქის გამგეობამ სალორიაზე შეშის მოჭრა უკვე შესწყვიტა. იმ ადგილებს, საცა შეშა მოიჭრა, სამოსახლოთ უპირობენ გაცემას.

— 10 დეკემბერს, ქართულ გიმნაზიის შენობაში, ქ-ნ დუნდუას საპროფესიო სასწავლებლის სასარგებლოთ გაიმართება საცეკვაო საღამო.

— 3 დეკემბერს, თბილისიდან არც ერთი გაზეთი არ მოსულა ქუთაისში.

— სოფლებიდან აუარებელი ბამბა შემოაქვსთ გასასყიდათ, უკურკო ბამბა გირვანქა 80—90 კაპეიკად იყიდებოდა, ხოლო კურკიანი 25—30 კაპეიკად.

— ინგლისელთ შეიძინეს ჩვენში რამდენიმე მილიონი ფუთი შავქვისა. უკანასკნელ დღეებში იმათვე იყიდეს 2 ნახ. მილიონი ფუთი ამ საქონლისა. საქონლის გატანას ომის შემდეგ აპირებენ.

— 1 ქრისტეშობისთვეს, ქობულეთიდან ჩამოიყვანეს გ. ზდანოვიჩი. ავათმყოფს გამოკეთება ემჩნევა.

— **აბრეშუმის ძაფი და ფუთქი.** ქუთაისის ბაზარზე ახლო-მახლო სოფლებიდან დიდძალი აბრეშუმის ძაფი და ნაჭუჭი ფუთქი შემოიტანეს, აბრეშუმის ძაფი კვერცხი პირველ ხარისხისა 1 მ. 20 კ.—1 მ. 40 კაპეიკამდე ფასობდა, მეორე ხარისხ. 90 კ.—1 მანეთამდე.

ხრესილი (ქუთ. მაზ.)

ხრესილიდან 80 ვაგონი წაბლის ხე წაიღეს.

სამტრედია.

აქ იხსნება კურსები ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთა მოსამზადებლად. კურსებზე შესვლა შეუძლიათ ვისაც გათავებული ექმნება პირველდაწყებითი უმაღლესი სასწავლებელი, საშუალო სასწავლებლის 4 კლასი, ან მოწმობა ექმნება პირველ კლასის ჩინისა.

დ. დილიჟანი (განჯის გუბ.)

აქ ამ ჟამად დაბინავებულია 3,000 ლტოლვილი მცირეწლოვანი ბავში ოსმალეთის სომხეთიდან. ყოველივე ხარჯებს ქალაქთა კავშირის აქაური განყოფილება იხდის. ლტოლვილთათვის აგრეთვე მოწყობილია საუკეთესო ადგილზე ლაზარეთი 500 საწოლით. ამ ლაზარეთით აქაური ჯარის კაცებიც სარგებლობენ—მაგრამ ქართველ ჯარის კაცები უყურადღებოთ რჩებიან. სავადმყოფო სომხების განკარგულებაშია.

— აქაური ბათალიონის უფროსად დაინიშნა პოლკოვნიკი უთნელაშვილი.

— სანოვაგე ძალზე ძვირია. პური იყიდება გირვანქა 15 კაპ. შაქარი 2 მანეთად, ხორცი ოთხ აბაზად. იაფია მხოლოდ ვერცხლის ფული, რასაც ადგილობრივი ვაჭრები ყუთებში აგროვებენ.

— ამ ახლო-მახლო ადგილებში მეტად გავრცელებულია ცარცვა-გლეჯა და მშვიდობიანი მცხოვრებლების აწიოკება. ამ რამდენისამე ხნის წინად გაცარცვის მიზნით რამდენიმა შეიარაღებულმა სომხებმა მძიმედ დასჭრა პოლკოვნიკი ხალილოვი.

— საქონლის ჭირი, როგორც სხვა ადგილებში აქაც გავრცელებულია.

გორი.

სამშაბათს, 22 გიორგობისთვეს საღამოს ექვსს საათზე საკრებულო ტაძარში გადახდილ იქმნა პანაშვიდი ჩვენის დიდებულ მგოსნის ნიკოლოზ ბარათაშვილის სულის მოსახსენიებლად. დანიშნულ დროისთვის ტაძარში ბევრი მოიყარა ადგილობრივმა ინტელიგენციამ. პანაშვიდის წინ დეკანოზმა ი. კაპანაძემ დამსწრეთ მოკლეთ გააცნო ბარათაშვილის ბიოგრაფია და მისი დრო.

სახალხო უნივერსიტეტის თავმჯდომარემ დ. ონიაშვილმა პანაშვიდის შემდეგ გაკვრით გადაგვიშალა მთელი პოეზია მგოსნის და დაახასიათა ის დრო და საზოგადოება, რომელშიაც ცხოვრებდა მგოსანი.

თელავი.

— სოფ. მატანში (თიანეთის მაზრა) გლეხს იობა ხოხობაშვილს ხანჯლით მოუკლავს თავის ცოლი. მკვლელობის მიზეზი ჯერ ჯერობით გამოურკვეველია.

— თელავის მაზრაში რამდენიმე სამრევლო სკოლა გაიხსნა და იხსნება ამ სამოსწავლო წელში. მაგალითად კურდღელაურში, შალაურში, ქვემო-ხოდაშენში, აკურაში. მეორე მასწავლებელი მიემატა შაშიანის სკოლას და ბევრგან სხვაგან. ზოგან დროებით მასწავლებლობა მიენდო თვით მღვდლებს.

— თელავის შემნახველ-გამსესხებ. ამხანაგობას დიდძალი ფქვილი და ხორბალი მოსდის.

— ადგილობრივი სცენის მოყვარენი ბ.ბ. ნ. სულხანიშვილის და ივ. კაკაბაძის მეთაურობით 6 ქრისტეშ. თელავის საკრ. დარბაზში სდგამენ „ბაიყუშს". კარგა ხანია თელავში ქართული წარმოდგენა არა ყოფილა.

შეცდომათა გასწორება

ს. კედიას გუშინდელ წერილში შემდეგი შეცდომებია: **დაბეჭდილია:** არიცი ამ შეაძლებლობითაგან, თუ რომელი გდარაჯობს: **უნდა იყოს:** არიცი ამ შესაძლებლობათაგან, თუ რომელი გდარაჯობს. **დაბეჭდილია:** ეს ქართველთა ნიმუშად გალებული მსხვერპლია: **უნდა იყოს:** ეს ქართველობა და სხვა.

საპარლამენტო ქრონიკა

მილიუკოვის მოკვლის განზრახვა

რუსულ გაზეთებში მოყვანილია „ჟურნალ ჟურნალოვ"-ის რედაქტორის ვასილევსკის (ნე-ბუკვას) წერილი, რომელშიაც ავტორი სწერს, რომ მასთან მისულა „რუსკოე ზნამიას" თანამშრომელი, სერგეი პროხოვის ფსევდონიმით რომ სწერს, და თავისი აღსარება მოუტანია დასაბეჭდათ. სერგეი პროხოვის სიტყვით, „ჭეშმარიტ რუსთა კავშირს" მისთვის დაუვალებია მილიუკოვის მოკვლა იმ სიტყვის გამო, რომელიც მილიუკოვმა პირველ გიორგობისთვეს სახ. სათათბიროში წარმოსთქვა.

მილიუკოვის სახლის პირდაპირ გაუხსნიათ საჩაიე, საიდგანაც უნდა ესროლათ დეპუტატისათვის. თავდასხმის საქმე უკვე მოწყობილი ყოფილა და გეგმის შესრულება პროხოვისათვის დაუვალებიათ, მაგრამ მას შეუძლებლად უცვნია ამ ბოროტების ჩადენა და მრავალ დამამტკიცებელ საბუთებით ვასილიევსკისთან მისულა, რომელსაც მოწმეებად, რედაქციაში მყოფი კუპრინი და დობუჟინსკი მოუწვევია.

ამასთან ერთად, მილიუკოვის მეუღლემ განაცხადა, რომ მას ღამ-ღამეობით, რედაქციიდან ქმრის დაბრუნების დროს, მის სახლის ახლო მოსიარე საეჭვო პირნი შეუმჩნევია. იმ დღეს, როდესაც, პროხოვის სიტყვით, გადაწყვეტილი იყო ამ ბოროტ-მოქმედების ჩადენა, ქალაქში ხმა გავრცელდა, რომ მილიუკოვი მოკლესო.

ამ საქმის გამოძიებას უკვე შეუდგნენ. სერგეი პროხოვის აღსარება „ჟურნალ ჟურნალოვ"-ის მომავალ №-ში დაიბეჭდება.

სათათბირო და საგარეო საქმეთა ახალი მინისტრი.

საგარეო საქმეთა ახალ მინისტრს პოკროვსკის, სათათბირო მუდამ ყურადღებით ეკიდებოდა და პატივს სცემდა მის საფინანსო ნიჭს, მაგრამ პოკროვსკის დანიშვნის შესახებ რომ ხმა გავრცელდა, დეპუტატები ამ ცნობას არ იჯერებდნენ.

— ალბათ შეგრიათ პორტფელები: საფინანსო მინისტრად ხომ არ დაუნიშნავთ?—კითხულობდნენ დეპუტატები.

როდესაც ოფიციალად გამოცხადდა მისი დანიშვნა, ყველა სახტად რჩებოდა და ბევრს სწყინდა, რომ პოკროვსკის ნიჭი საფინანსო სარბიელზედ არ გამოიყენეს, სადაც მას დიდი გამოცდილებათ და ყურადღებაც აქვს დამსახურებული.

ერობის საკითხი სათათბიროში.

წვრილ საერობო ერთეულთა საკითხის განხილვის დროს საშინაო საქმეთა სამინისტროს მხრით, განცხადებას წარმოსთქვამს სამინისტროს დროებითი მართველი კუკოლ-იასნოპოლსკი,

ქალაქის საბჭო

5 ქრისტეშობისთვე

თავმჯდომარეობს ქალაქის მოურავი **ა. ი. ხატისოვი.**

ხმ. ტერ-სტეფანოვი. მართალია თუ არა გაზეთებში გამოქვეყნებული ამბავი, რომ სამოსწავლო ოლქის საბჭომ არ შეიწყნარა საშუალო სასწავლებლების მოსწავლეთა მშობლების ცენტრალ წრის შუამდგომლობა შესახებ იმისა, რომ ადგილობრივ ენების სწავლება სავალდებულო იყვეს საშუალო სასწავლებლებშიო?

თავმჯდომარე **ა. ი. ხატისოვი.** ამ საგნის შესახებ გამგეობას არავითარი ცნობა არ მოსვლია, ხოლო რაც შეეხება გავრცელებულ ხმებს, ეს იმდენად გავიგეთ ჩვენ, რამდენადაც თქვენ. საჭიროა დავავალოთ ხმ. ხუნუნცს, რომელიც ქალაქის თვითმართველობის მხრივ სამოსწავლო ოლქის საბჭოში წარმომადგენლად არის არჩეული, რომ მშობელთა წრის შუამდგომლობას მხარი დაუჭიროს.

ხმ. ხუნუნცი. შუამდგომლობა ეხლა ზედმეტია, რადგან საბჭომ არ შეიწყნარა მშობელთა წრის თხოვნა.

ხმ. იოანისიანი. საყვედურს აცხადებს, რომ ტრამვაის ტარიფის შესახებ ხმოსნების კამათი სრულიად არ არის აღნიშნული ოქმში.

ხმ. მესხიშვილი მხარს უჭერს იოანისიანს და თავის მხრივ დასძენს, რომ საზოგადოდ საბჭოს კრების ოქმებში ზოგიერთი ხმოსნების სიტყვები საგსებით იწერება, ხოლო ზოგიერთების ნალაპარაკევი სრულებით არ არის ხოლმე მოხსენებული.

კრება სურვილს აცხადებს და გამგეობა ჰპირდება, რომ საბჭოს კრების ანგარიში ვრცლად იქნება ოქმებში ჩაწერილი.

ა. ი. ხატისოვი. საერობო რეფორმების შესახებ თათბირი დამთავრდა მეფის ნაცვლის საბჭოში. თათბირზე მე მიწვეული ვიყავი, როგორც ქალაქის მოურავი, და ყველა კრებას დავესწარი. მე ვიცავდი უმცირესობის პროგრამას, რომელიც, როგორც ცნობილია, დემოკრატიული ხასიათისაა ხოლო თავად-აზნაურთა მარშალი თავ. დ. ვ. ჩოლოყაშვილი იცავდა უმრავლესობის პროგრამას. უკანასკნელ კრებას დაესწრო და თავმჯდომარეობდა თითონ მისი უმაღლესობა დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე. თათბირის ნამუშევარი პეტროგრადში გაიგზავნება მინისტრთა საბჭოში; შემდეგ კანონ პროექტს განიხილავენ საკანონმდებლო დაწესებულებანი და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მომავალ შემოდგომაზე ერობა გვექნება. დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე სულითა და გულით მონდომებულია, რომ რეფორმები ადრე განხორციელდეს ჩვენში.

გამგეობის წევრმა **მ. ა. ჯაბარმა** კრებას ამცნო ბინების საკითხის მომწესრიგებელ კომისიების გაუქმება, რადგან ბინების შესახებ საერთო კანონი გამოვიდა, მთელი იმპერიისათვის სავალდებულო.

შემდეგ კრებამ მოისმინა გამგეობის მოხსენება კლუბებისა და რამდენსამე კერძო პირთა შუამდგომლობის გამო შესახებ სატრაქტირო გადასახადების შემცირებისა 1917 წელს. გამგეობას საჭიროდ უცვნია უარი უთხრას ყველას. საბჭომ გამგეობის დადგენილება მოიწონა და არც ერთი შუამდგომლობა შეწყნარებული არ იქმნა. წინააღმდეგ, ზოგიერთმა ხმოსნებმა სურვილიც კი გამოთქვეს, რომ სატრაქტირო გადასახადი გადაიდოსო.

შემდეგ კრებამ მოისმინა ხმ. მესხიშვილის განცხადება და გამგეობის დადგენილება, რომ გამოჩენილ პოეტის ნიკო ბარათაშვილის დაბადებიდან 100 წლის შესრულების გამო მისი ხსოვნა რითიმე აღნიშნოს ქალაქმა.

კრებამ დიდძალ ხმის უმრავლესობით დაადგინა ეწოდოს „გიმნაზიის ქუჩას" ნიკო ბარათაშვილის სახელი და ამასთანავე პოეტისავე სახელზე დაარსდეს ერთი სასწავლებელი ანუ ბიბლიოთეკა და ამ საგნის დაწვრილებით შემუშავება მიენდოს სასკოლო კომისიას.

ბოლოს კრებამ, თანახმად გამგეობის მოხსენებისა, დაადგინა ომის გათავებამდე არ მოუსპოს საქალაქო სკოლების მასწავლებლებს ზედმეტი ჯამაგირი, საბჭოს მიერ დაწესებული მიმდინარე წლის იანვარსა და მკათათვეში.

ქართ. ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგად.

5 დეკემბერს, საღამოს 8 საათზე დეპუტატთა საკრებულოს დარბაზში მოხდა ქართველ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოების პირველი კრება. თავმჯდომარეობდა ექიმი გ. მ. მაღალაშვილი, ხსენებული საზოგადოების თავმჯდომარე, მდივნობდა საზოგადოების მდივანი ექიმი ნ. ჯავახიშვილი. კრების გახსნისას თავმჯდომარემ წინადადება მისცა პატივი ეცათ ახლად გარდაცვალებულის პოლონეთის დიდებული მწერლის, ჰენრიხ სენკევიჩის ხსოვნისთვის ფეხზე ადგომით, რაც შესრულებულ იქმნა. გამგეობის წევრის ექ. ვ. ღამბაშიძის წინადადებით დაადგინეს საზოგადოების სახელით ადგილობრივ და სხვაგან მყოფ პოლონელთა საზოგადოებებს გაეგზავნოს შესაფერი წერილი და დეპეშები სენკევიჩის გარდაცვალების გამო. წინადადება ერთხმად მიიღეს. შემდეგ კრება გადადის მორიგ საკითხებზე. პირველი იყო სექციების დაარსების საკითხი. გამგეობამ წარმოადგინა თავისი წინადადება, ქართ. ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოება ოთხ სექციად დაყოფილიყო: სატერმინოლოგიო, საერობო, საბიბლიოგრაფიო და სამეცნიერო სექციებად. გამგეობის წევრი ექ. ვ. ღამბაშიძე კითხულობს მოხსენებას, სადაც მოკლედ ასაბუთებს სატერმინო სექციის დაარსების საჭიროებას. მეორე წევრი გამგეობისა ექ. პ. კაკალიშვილი წარმოადგენს ამგვარსავე მასალებს საერობო სექციის დაარსების შესახებ, მესამე წევრი გამგეობისა, ექ. ი. ელიაშვილი—მოხსენებას სამეცნიერო სექციის დაარსების შესახებ. მეოთხე წევრი—ექ. ნ.

ბევრში გაუსწრო კიდეც სიმბოლისტებს. „მბძრანებელი რიტმი" და „ჭანგიანი ქალაქები" ამტკიცებენ, რომ იმან ნახა ახალი რიტმი და გამოიტანჯა თანამედროვე სული. ამიტომ არის, რომ ფუტურისტები, რომელნიც უარყოფენ კიდეც სიმბოლისტებს „როგორც მთვარის უკანასკნელ საყვარლებს", თავიანთ უარყოფას აჩერებენ ვერჰარნზე. ვერჰარნმა რამდენადმე შეასრულა კიდეც ზმანება სტეფან მალარმესი, რომელიც ყოველთვის იჯდა თეატრში სიმფონიურ კონცერტებზე და კარანდაშიანათ ელოდდა სიმფონიის სიტყვიერ ექვივალენტის დაჭერას, მხოლოდ სიმფონია ვერჰარნია ველურია და ქარიშხლიანი. აქ უკვე ისმის სიმფონია არტილერიის ცეცხლის, ჰაეროპლანების სისინის და მხრჩობელი გაზის.

ვერჰარნმა იგრძნო სტეფან მალარმეს ძახილი:

„მოკვდა ალფაბეტის უკანასკნელი ანბანი".

ვერჰარნი, როგორც თავის „მჭედელი" დღითი დღე, წლიდან წლამდე სჭედავს გაუგონარ სიტყვებს. თავის ქურაში იმან ისროლა ძახილი წყევლის, მარადი და ყრუ რისხვა. უცნობი ჯარების ცივმა ზელადმა ოქროთ ანთებულ ქურაში ისროლა გმწარება, ნაღველი და ამბოხების ყვირილი, მიანიჭა მას ბრწყინვალება ელვისა და პირდაპირობა ფოლადის ხანჯლისა. ეს არის თავისუფალი ლექსი ვერჰარნის, რომლის მოგონებას, უფლებას მას ტყუილად ედავებიან. ყველაფერს, რასაც-კი მიეკარება, მოუნახავს ინტიმიურ სულს, მისი ლექსები მომყოლია ყოველი შთაბეჭდილების გამოსაცემად, დანაჩრდილის დასახატად. ჯერ არავის უხმარია ისეთი სალებავი, როგორც ვერჰარნს, მან პოეზიაში გაიმეორა რემბრანტი და რუბენსი, რომელნიც ასე უყვარდა და რომელთაც უძღვნა ცალკე მონოგრაფიები. ვერჰარნს უკვე დაერქვა სახელი პირველ ევროპიელისა და არავის აქვს უფლება ისეთი ამაზე, როგორც მას. მის ექსტაზის აპოლოგია, პრიმიტივის ასახვა, და „მბრძანებელი რიტმის" ჯადოქრობა „ყლორტების ყვავების" მომღერალ უოლტ უიტმანთან ერთად შეიძლება თუ მიღწევა არა, მიახლოვება მაინც იყოს სტეფან-მალარმეს უკანასკნელ ოცნების „Art hermaetique" ბალხონურ პოეზიაზე.

⁂

განა უნდა თქმა იმას, რომ საქართველოში ვერჰარნი ცარიელი სიტყვა? ჩვენში ყველაფერი, რაც დემოკრატიის ეგიდით მიდიოდა, გამძლე იყო, ხოლო ვერჰარნს ვერც ამან უშველა. რამდენიმე უნიჭო ცდა ვერჰარნის თარგმნისა, რასაკვირველია, რუსულ თარგმნიდან, ანგარიშში ჩასაგდები არ არის. აქ კიდევ ზედმეტად დამტკიცდა საჭიროსობა ხელოვნებაში მოქალაქეთა მეზარეებისა. ზვიადი და აქაფებული ლექსი ვერჰარნისა ითხოვს ახალ მიღწევას და ახალ საშუალებას. ქართული ვერჰარნი მომავალის საქმეა, თუ ამაში ეჭვი მივიტანეთ, ეჭვი უნდა მივიტანოთ ქართულ ხელოვნების მომავალისათვის. ბევრია იმის საბუთი, რომ ეს იქნება.

ეს სახელდახელო ნეკროლოგი იყოს იმის ასანიშნავად, რომ საქართველოშიც იხსენება დიდებული პოეტი, რომ ჩვენც ტირილით გავაცილეთ მისი მბრძანებელი ჩრდილი.

ტ. ტაბიძე.

ქ. მოსკოვი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯავახიშვილი—საბიბლიოგრაფიო სექციის შესახებ. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ, საზოგადოებამ შეიწყნარა პირველი სამი სექცია, მეოთხე ზედმეტად სცნო, ვინაიდან საერო საზოგადოებას მიზნად აქვს დასახული სამეცნიერო მოქმედება ჩვენი ქვეყნის შესასწავლად განსაზღრულის მხრივ. ამ საკითხის შესახებ კრება ირჩევს ბიუროს კანდიდატებს, სარევიზიო კომისიის წევრებს, საეროზო სექციის და საბიბლიოგრაფიო სექციის წევრებს. პირველში მოჰყვნენ კბილის ექიმი ჰიჰინაძე, ს. იაშვილი, ს. კედია, ექ. ვ. კაკაბაძე, ექ. ბალარჯიშვილი. მეორეში—ექ. ა. დიასამიძე, ექ. ი. გომართელი და ზროვიზორი ახვლედიანი. მესამეში— ექ. ქიქოძე, ექ. კიკალიშვილი, ექ. ა. იაშვილი, ექ. სპ. ვირსალაძე, ექ. მ. გედევანიშვილი, ექ. შენგელია, ექ. მიქელაძე და კბილ. ექიმი ჰიჰინაძე. მეოთხეში—ექ. კალანდარიშვილი, ექ. იაშვილი და ექ. ჯავახიშვილი.

არჩევნების შემდეგ ექ. შ. მიქელაძემ წინადადება შემოიტანა, რომ გამგეობას ნებართვა გამოეთხოვა, სადაც ჯერ-არს, რომ ექიმთა და ბუნებისმეტყველ საზოგადოებას ჰყოლოდა თვისი წარმომადგენელი იმ საკურორტო საზოგადოების ყრილობახედ. რომელიც ამ მოკლე ხანში თბილისში გაიმართება. წინადადება მიიღეს და სთხოვეს ექ. ვ ღამბაშიძეს და თვით შ. მიქელაძეს წარმოედგინათ საზოგადოების ხსენებულ ყრილობაზე და თუ მოესწრებოდა მოხსენებაც დაემზადებინათ ჩვენი ერთ-ერთ კურორტის შესახებ. უკანასკნელად ექ. ვ. ღამბაშიძემ წინადადება შემოიტანა, რომ ქარ. ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოებას აღეძრა შუამდგომლობა საგუბერნიო ექიმის წინაშე ნებართვა მინიჭებოდა ქ. თბილისში, რიგს გარეშე საკუთარი აფთიაქი გაეხსნა. წინადადება ერთხმად და ტაშისცემით მიიღეს. სხვა წინადადება არ შემოსულა, სხდომის ყველა მორიგი საკითხიც მორჩომილი იყო და თავმჯდომარემაც ღამის 12 საათზე კრება დახურა.

ვალ. გუნიასთან

(ინტერვიუ მისი იუბილეს გამო)

ვნახე ჩვენი საყვარელი ავადმყოფი ვ. გუნია და ვესაუბრე მისივე იუბილეს შესახებ.

თავდაპირველად უნდა აღვნიშნო, რომ ვ. გუნია ძრიელ გამოცვლილა გარეგნობით. ჯერ ისევ ძალზედ გაყვითლებულია, წელში მოხრილა და, საზოგადოდ, როგორღაც მოკუმშულა და დაპატარავებულა. სად არის ის წინანდელი ახოვან-ძალოვანი, გამბედაობისა და შებრძოლების იერით აღბეჭდილი ვალიკო...

მძიმე ავათმყოფობას მძიმე დაღი დაუსვამს.

ლაპარაკი ჯერ კიდევ ღლის, თუმცა თითონ კი ძლიერ ეხალისება.

როდის აპირებთ, ბ-ნო ვალიკო, თქვენის იუბილეს გადახდას?

— მე არაფერს ვაპირებ!—მკვახედ წამოიძახა ბ-ნმა ვალერიანმა. ვაპირებდი სიკვდილს, მაგრამ ექიმებისა და საზოგადოების წყალობით, მგონი, გადავრჩი ამ სადღესასწაულო ზეიმს...—ობუნჯობს ავადმყოფი.

უკაცრაოდ.—მე უნდა მეკითხნა, თუ როდის უნდა გაიმართოს იუბილე?

— მაგ კითხვით შეიძლება თქვენვე მოგმართოთ... მე არაფერი ვიცი... ვიცი მხოლოდ, რომ თქვენს გაზეთში ჯერ უკვე აპრილის შუა რიცხვებში აღიძრა კითხვა ჩემი მცირე ნაშრომ-ნალვაწის შესაფასებლად ოცდათხუთმეტი წლის თავზე გამართულიყო რამე. მერე მაისში, ალ. სუმბათაშვილ-იუჟინის აქ ყოფნის დროს, დრამატიულ საზოგადოების ორი საგანგებო კრებაც იყო გამართული და უმთავრესად ისევ იუბილეიზე იყო სჯა-ბაასი. ასე წარმოიდგინეთ, ზოგიერთი ჩემი გულუბრყვილო მტერ-მოყვარენი იმასაც კი მწამებდნენ, თითქოს სუმბათაშვილი განგებ გამომეწვიოს მოსკოვიდან ჩემი იუბილეს სარეკლამოდ!... მცირე კომისიაც კი იყო არჩეული საიუბილეო საქმის მოსაწყობად... ივლისში ავადმყოფობამ ჩამჭიდა თავისი მძლავრი კლანჭები და დღევანდლამდე ლოგინად ვარ ჩავარდნილი. ეტყობა, იუბილეს საქმეც ჩემთან ერთად სიკვდილის პირად იყო მიღწეული... და მართლაც იუბილესათვის ვის სცხელოდა, როცა ჩემი ყოფნა-არ ყოფნა სათუო იყო.

— ვის უნდა ეთავა იუბილეს საქმე—დრამ. საზოგ. გამგეობას, თუ კომისიას?

— რა მოგახსენოთ... აკი გითხარით, რომ ყოველისფერი ჩემი ავადმყოფობის ბრალია-მეთქი.

— მერე ეგ ავადმყოფობა შეგაძლებინებთ ამ ცოტა ხანში, მაგალითად, ქრისტეშობისთვის მეორე ნახევარში, იუბილე გადაიხადოთ?

— ექიმი ივ. გომართელი მპირდება ფეხზე დაყენებას და თვითონაც ვგრძნობ, რომ მალე შევძლებ წამოდგომას. უკვე ოთახში დავდივარ, თუმცა ყოველ ხუთ წუთს შემდეგ უნდა შევისვენო, რადგან ძალზე ვიღლები და თავს-ბრუ მეხვევა ხოლმე—ეგ ყოველივე გულის სისუსტეს და სისხლ ნაკლებობის ბრალია, რომელიც, უეჭველია, თანდათან გაივლის. ხუმრობა ხომ არ არის, სამოცდა თექვსმეტი დღე შეუჩერებლივ სისხლისაგან ვიცლებოდი... ტყვილად კი არ ამბობს გომართელი—რკინისა და ფოლადის ჯანი გქონიაო... დიდი ამაგი დამდო გომართელმა და... სხვებმაც. განსაკუთრებით ვანოს მადლიერი ვარ; იგი ორმაგი ექიმი იყო ჩემთვის—ხორციელი და სულიერი...

— უკაცრაოდ... იუბილეზე ვილაპარაკოთ...

— მაპატიეთ... ჩემის აზრით, ქრისტეშობისთვის იუბილე ადრე იქნება... ყოველ შემთხვევაში, იუბილეს დროისა და ადგილის დანიშვნა კომიტეტის საქმეა. პირადად მე წინააღმდეგი ვარ, რომ იუბილარი ერეოდეს საქმეში. იუბილარი კი არ უნდა ჰმართავდეს იუბილესა და ზეიმს, არამედ საზოგადოება,—ჩვენში კი... ჩემს იუბილეზე მე მხოლოდ ერთს პირობას მოვითხოვ.

მე სულით და ხორცით წინააღმდეგი ვარ ჩვეულებრივის შაბლონურის და ტრაფარეტულ იუბილესი: თოჯასავით სცენაზე ასკუპება და შემდეგ დაუსრულებელი „რეჩობანა“... ერთი და იგივე ამ უკანასკნელი თხუთმეტი წლის განმავლობაში და ისიც ყოველ წლივ ჩვენში, სომხებში და რუსებშიაც... ეგ ისეთი მაბეზარი შაბლონია ისეთი გაცვეთილი ტრაფარეტია, რომ პირადად ჩემში მწარე ღიმილს იწვევს, მაგისთანა იუბილეს არავითარი აღმზრდელობითი და საზოგადოებრივი მნიშნელობა არა აქვს, თბილისში მაინც.

— უკაცრავად, მაგრამ ეგეც ერთი ახირებაა... ჯერ, როგორც ვიცი, განათლებულ საზოგადოებას ევროპაშიაც კი იუბილეს სხვა ფორმა არ გამოუგონია...

— მით უფრო საჭიროა, რაც შეიძლება მალე, მოვსპოთ ეგ ძველი შაბლონი, და მე უზომოდ ბედნიერი ვიქნები, თუ ეგ ახალი ხანა ჩემგან დაიწყება.

— ადვილი სათქმელია—„ახალი ხანა“, მაგრამ შესასრულებლად კი ძალიან ძნელია და თითქმის შეუძლებელიც... მაგალითად, თქვენ შესძლებდით მოგვეცათ ახალი ფორმა დღესასწაულისა, ახალი გეგმა და ახალი პროგრამა იუბილესი?

— მე არაფრის მოცემა არ შემიძლიან... მე მხოლოდ სურვილს გამოვსთქვამ. განა თქვენ თვითონ და ჩვენ ყველანი, ჩვენებური იუბილეს დამსწრენი, არა ვგრძნობთ სრულს უილაჯობას და მაბეზარ უფერულობას?.. საჭიროა იუბილეს მომწყობთ მეტი ინიციატივა, მეტი შნო და უნარი გამოიჩინონ, მეტი აზრი შეიტანონ ამ გვარ დღესასწაულებში... დროა მოისპოს ეგ ყეინობა! ესეც არ იყოს, ჩემთვის ამ ჟამადა მოუხერხებელი და ძნელია ყეენად ყოფნა სცენაზე რამდენისამე საათის განმავლობაში. ჩემი სიუძლური და სუსტი გული ვერ გაუძლებს მღელვარებას, რაიც აუცილებელია ზოგიერთი სიტყვების შემდეგ.

— აი, ეგ კი მართალია. მღელვარება თქვენთვის ძლიერ მავნებელი იქნება...

— და შეიძლება საბედისწეროც!.. უნდა გაგიმეოროთ ის, რაც საჯაროდ ვსთქვი მაისის კრებაზე: სცენას თავს ვანებებ. იმ დღეს სცენას სამუდამოდ უნდა გამოვეთხოვო, გესმით—სამუდამოდ! ეს იქნება ერთგვარი ექსორია... ამისთანა სულიერი განცდის დროს ზეიმ-ზარი მეტი იქნება... რაც შეიძლება მეტი სიმარტივე და სადაობა...

— ეგ ყველა კარგი, მაგრამ მე არ მესმის თქვენი გადაწყვეტილება, რომელიც უკანონოდ და უსამართლოდ მიმაჩნია. თქვენ ჯერ კიდევ შეგიძლიანთ ნაყოფიერი მუშაობა და ხელმძღვანელობა სცენასა და თეატრში...

— მაგაზე ნუ ვილაპარაკებთ. ჩემი ამბავი მე უკეთ ვიცი... დავიღალე, დავიქანცე... დავუძლურდი და მოვტყდი! ოჰ, რომ იცოდეთ, ჩემო მეგობარო, როგორ მწყურიან მოსვენება! ესეც არ იყოს, რა სასიამოვნოა სცენაზე ყოფნა იმისთანა მსახიობისა, რომელსაც უკვე, სამწუხაროდ, დაუძლურებია და დაძაბუნებია ეტყობა: არც თვალი უჭრის საკმაოდ და არც ყური, ხოლო მეხსიერების აპარატი მოდუნებული აქვს... გარწმუნებთ, მაყურებელთა 75 პროც. ყოველთვის გრძნობს მსახიობის უილაჯობას... ვერავითარი ნიჭი და სასცენო უნარი ვერ დაჰფარავს მსახიობის დაძაბუნებას, მეტადრე ახალს როლებში... ამისთანა შემთხვევაში დროზე წასვლა სჯობიან... წასვლა შენის ნებით, სანამ სხვების ნება დაგატანდეს ძალას... ხომ გახსოვთ რუსთველის სიტყვები—„საცა არა სჯობს—წასვლა სჯობს“... თამაშობას კი ათასში ერთხელ, ისე ხილადა მე უარს არა ვყოფ.. ძველი, ყავლ გასული მსახიობის რეპერტუარში ყოველთვის არის თითო ოროლა იმის თანა როლი, რომლის განსახიერებას თვითონ საზოგადოება მოითხოვს ისევ ძველებისაგან და ეს ყოვლად კანონიერი სურვილია, მაგრამ დავანებოთ ამას თავი. ეგ კითხვა ჩემთვის პრინციპიალურია და მე იგი გონებისა და სინიდისის ქვეშ გადავწყვიტე—სცენას უნდა განვშორდე.

— სად აპირებენ, ან თქვენ თვითონ სად მიგიწევთ გული იუბილეს გასამართავად?

— ადგილის ამორჩევაც თქვენი საქმე გახლავთ, ესეიგი, საზოგადოებისა. რათქმა უნდა, სახაზინო თეატრი დიდძალ ხალხს იტევს, მაგრამ მისი ფასიც ძალზე გადამეტებულია. თეატრის ქირა, ახალი სამხედრო ბეგარა—გადასახადი, ტანისამოსის შენახვის ხარჯი და სხვა ხარჯი ორას თუმანზე (2000 მან. ნაკლები არ იქნება. მაშასადამე, შემოსავლის ორი-მესამედი სხვების ჯიბეში ჩაჩხრიალდება. რა აზრი და რა ჭკუაა, ქართველ საზოგადოებას ეგოდენი ფული გადაახდევინო და უცხო კი ასარგებლო. დაე, შემოსავალი შედარებით ცოტა იყოს, მაგრამ ხარჯიც იმის შესაფერი. შედეგი ორსავე შემთხვევაში ერთი და იგივე იქნება ამ განსხვავებით, რომ საზოგადოება არ გაიყვლეფება მაინც.—მერწმუნეთ, ჩემი თავმოყვარეობა სრულებით არ იქნება შელახული, თუ იუბილე სახაზინო თეატრში ან სხვაგან გადამიხადონ.

— წინააღმდეგი ხომ არ იქნებით ჩვენი საუბარი, ინტერვიუს სახით, გაზეთში მოვათავსო?

— ბატონი ბრძანდებით! მე დასამალი არა მაქვს-რა.

Inter.

ქართლ-კახეთის სამღვდელოების მომავალ კრების საყურადღებოდ

(მღ. ი. ხატიაშვილის წერილის გამო იხ. „საქართველო“-ს № 263)

წავიკითხე პატივცემულ მოძღვრის ხატიაშვილის ზემორე მოხსენებული წერილი. ამ წერილში მღ. ხატიაშვილს ზედმიწევნით გამოუთქვამს ის აზრი, რა აზრიც უნდა ჰქონდეს ყველა ჭეშმარიტ ქართველ სულიერ მწყემსს. ამ ჩემის წერილით მინდა ამ ჟამად განსაკუთრებული ყურადღება ხსენებულ სამღვდელოების კრებისა მივაქციო ზემოხსენებულ წერილის მეშვიდე მუხლს, რომელშიაც მღვდ. ხატიაშვილი სასულიერო ყოველთვიურ ორგანოს დაარსებას ეხება.

მე აქ იმის განხილვას ზედმეტად ვსთვლი, თუ არსებული სასულიერო ორგანო, „Вѣстникъ Грузинскаго Экзархата“-ს სახით, რამდენად ღირსეულად ემსახურება საქართველოს საეკლესიო საკითხებს, ვინაიდგან მღ. ხატიაშვილს სავსებით აქვს დასურათხატებული იგი თავის წერილში.

ქართველი სამღვდელოებისათვის აუცილებლად საჭირო ხდება საკუთარ და სერიოზულ სასულიერო ორგანოს დაარსება, და მერე, რომელმა ეპარქიის სამღვდელოებამ უნდა იდვას თავს ხსენებულის ორგანოს გამოცემა? ჩემის ფიქრით—საქართველოს საექსარხოსოს ქართულმა ყველა ეპარქიების სამღვდელოებამ. ამავე ეპარქიების მოწინავე სამღვდელოებამ უნდა მიიღოს თავის თავზედ როგორც თანამშრომლობა, ისე აგენტურა მის ფართოთ გასავრცელებლად. რედაქცია აუცილებლად უნდა იქმნას ქ. თბილისში. თუ შესაძლებელი იქმნება, საეკლესიო ფულს ერთ გროშსაც კი ნუ გავურევთ მისს საფასურში (და ან კი აქვს ჩვენს გაცარცულ ეკლესიებს რაიმე შეძლება!) და მხოლოდ ჩვენისავე სამღვდელოების ხარჯზედ ვიტვირთოთ მისი გამოცემა. ღვთის მადლით, ჩვენ ამ ჟამად მრავლად გვყვანან უმაღლესად განათლებულნი მწყემსმთავარნი, მწყემსნი და მოძღვარნი და ამასთანავე განათლებულნი საერო პირნი—პროფესორ-ისტორიკოსნი და მწერალმოღვაწენი, რომელთაც, ჩვენდა სასიამოვნოდ, სამშობლო ეკლესიის საკითხი დიდად აინტერესებთ, და ამისათვის იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ხსენებულ ორგანოს ისინი გონებრივ და ქონებრივ მასალას არ მოაკლებენ.

მოიგონეთ დეკ. დავით ღამბაშიძე. ნეტარხსენებულმა მარტოდ-მარტო ჩაუყარა საძირკველი ქართულ სასულიერო ლიტერატურას და თავგამოდებით იტვირთა ყოველივე მისი სიმძიმე 30 წლის განმავლობაში. ამ ორგანოს თავის [illegible] ერთად შეალია მთელად თავისი ქონებაც და ეს სწორედ მაშინ, როდესაც ქართველ სამღვდელოებაში არამც თუ რიგიანი თანამშრომლები არ მოიძებნებოდენ, მკითხველებიც ცოტანი იყვნენ. ახლა კი სულ სხვა არის ამ მხრივ, და სირცხვილი იქმნება, რომ ქართველი ხალხის სასულიერო უწყებამ, თუ მეტი არა, იმდენი მაინც ვერ გააკეთოს, რაც ერთმა პირმა—განსვენებულმა დავით ღამბაშიძემ მოიმოქმედა. განსვენებულმა ქართულ ჟურნალს დრო-გამოშვებით რუსული ნომრებიც ზედ მიაყოლა, სადაც ათავსებდა საზოგადო შინაარსის წერილებთან ერთად ქართველთ წმიდანთა სურათებსაც და სწორედ ამას უნდა ვუმადლოდეთ, რომ რუსეთის უმაღლესმა სასულიერო უწყებამ მხოლოდ იმითი გაიგო, რომ ქართველები ნამდვილი ქრისტიანები ყოფილან და იმათაც ჰყოლიათ საკუთარი საეკლესიო წმიდანებიო. და ჩვენც, განსვენებულის მსგავსად, ცალკე რუსული გამოცემაც უნდა მოვაწყოთ ხსენებულ ორგანოსთან, რომელიც საშუალებას მოგვცემს რუსის ფართო საზოგადოებასაც გავაცნოთ ჩვენის ეკლესიის საჭირ-ბოროტო კითხვანი.

ეს კი არა, უნდა ვეცადნეთ, ხსენებულ ორგანოსთანვე დრო-გამოშვებით ბერძნულ ენაზედაც მოვაწყოთ ჩვენი ეკლესიის შესახები სტატიების ბეჭდვა, რომელიც უნდა ეგზავნებოდეს მსოფლიო ოთხთავ პატრიარქებს და მათ მიტროპოლიტ-არქიეპისკოპოსებს. ამით შეძლება მოგვეცემა მათაც გავუზიაროთ ჩვენი საეკლესიო საკითხების მდგომარეობა და მის უკანონოდ ჩამორთმეულ უფლებათა კვლავ დაბრუნების საჭიროება იმათისავე დახმარებით.

იმედი მაქვს ამ საკითხის შესახებ სხვებიც გამოსთქვამენ თავიანთ აზრს და საქართველოს საერთო საეკლესიო ორგანოს დაარსების საქმეს ხელს შეუწყობენ.

მღვდ. ვლადიმერ მაჭარაშვილი.

შემოწირულება

ქართველ მოღვაწეთა აგარაკის ასაშენებლად ბ-ნ ვასილ ნანობაშვილმა შემოსწირა 5 მანეთი და თან აღუთქვა ყოველწლიურათ ხუთ-ხუთი მანეთი შემოსწიროს.

—

ბ-ნ პარმენ კიკაჩეიშვილისაგან მიიღო 3 მ. და 60 კ. მომქმედ ჯარში ქართველ ჯარისკაცთათვის გაზეთ „საქართველოს“ საგზავნათ სამის თვის განმავლობაში.

რედაქცია გაზეთს უკვე გზავნის დანიშნულებისამებრ.

რედაქტორ-გამომცემელი
სანდრო შანშიაშვილი

ამიერ-კავკასიის რკ. გზის

მატარებლების მიმოსვლა

(დრო ნაჩვენებია ტფილისის)

თბილისიდან გადის:

ბათუმისკენ	საფ.	№ 3,	11.03	დილ.
„	სამგზ.	№ 9,	10.33	საღ.
ბორჯომისკენ	სამგზ.	№ 19,	3.20	დღ.
„	„	№ 17,	8.27	დილ.
გორისაკენ	სამგზ.	№ 61,	9.10	დილ.
ბაქოსაკენ	ჩქარ.	№ 6,	11.13	დილ.
„	სამგზ.	№ 8,	3.54	დღ.
„	საფ.	№ 4,	9.28	საღ.
ყარსისაკენ	სამგზ.	№ 4-3,	11.13	საღ.
თელავისაკენ		№ 4,	8 „ 58 „	დილ.

ტფილისში მოდის:

ბათუმიდან	სამგზ.	№ 10,	9.52	დილ.
„	საფ.	№ 4,	8.38	საღ.
ხაშ.-ბორჯ.	სამგზ.	№ 20,	7.48	დილ.
„	სამგზ.	№ 18,	10.12	საღ.
გორიდან	სამგზ.	№ 62,	6.34	საღ.
ბაქოდან	საფ.	№ 3,	10.08	დილ.
„	სამგზ.	№ 7,	4.12	საღ.
„	ჩქარ.	№ 5,	8.48	საღ.
თელავიდან		№ 3, . 6 „	24 „	საღ.
ყარს-ჯულფ.	საფ.	№ 3***,	8.10	დილ.

საუკეთესო კახური
ღვინის საწყობი
ადამ ზურაბის ძის
ბერელაშვილისა
მოთავსებულია მიხეილის ქუჩაზე № 5. საკუთარი სახლი.
(102—წ.)

სავაჭრო სახლი
„ძმ. სესიევები და ამხ.“
(ვაგზლის ქ. № 6)
ამით აუწყებს საზოგადოებას, რომ პირველ ივნისიდან ამა 1916 წ. თავის საწყობში წვრილად გაიყიდება
ნამდვილი კახური საკუთარი ვენახების ღვინო

„სავაჭრო სახლი“ (საწყობი)
ერ. ივ. ჭავჭანიძისა და
ი. ი. გველესიანისა
იმყოფება შუა ბაზარში, მანთაშევის ქარვასლაში.
იყიდება პარტიებით ყოველნაირი საგალანტერეიო საქონელი: ჩულქეულობა, კოლგები, თეთრეულობა, ვიზიტკები, კოსმეტიკა და სხვა და სხვა ახალმოდის საქონლები ხელმისაცემ ფასებში სხვა და სხვა სოფლის კოოპერატივებისთვის.
(101—წ.)

ქ. ბაქოში
ღვინით ვაჭრობა
„მელაანი“
თ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი და ამხ.
იშოვება საუკეთესო კახური ღვინოები
(112—წ.)

„სორაპნის“ გამოცემა
დაიბეჭდა, გამოვიდა და იყიდება ყველგან საქართველოში
კედლის კალენდარი
შედგ. მ. გაჩეჩილაძის ტ გრ. სვ. ჩარკვიანისა
ფასი 70 კაპ.
სახალხო კალენდარი
შედგენილი მ. გაჩეჩილაძის მიერ.
ფასი 50 კაპ.
1917
„პარტიით“ მყიდველებს შეუძლიათ მიმართონ: Тифлисъ, Типографія „Сорапань“ М. Гачечиладзе და ქუთაისში წიგნის მაღაზია თ. მთავრიშვილისა.
გაფრთხილება. ჩვენი კალენდრის მყიდველების საყურადღებოთ ვაცხადებთ, რომ კოოპერატიულ ამხანაგობა „განახლება“-ს გამოცემულ კალენდართან, ჩვენ გამოცემას არაფერი საერთო არც ჰქონია, არც აქვს და არც ექნება.
(12—252—9)

ვინც იტანჯება ათაშანგით
(სიფილისით)
ვურჩევთ იხმარონ ცნობილი საშუალება
პრეპარატი
„IODOSTARIN“ (იოდოსტარინ)
მთელი კურსის ფასი 30 მ., $^{1}/_{2}$ კურსის ფასი 16 მ., $^{1}/_{4}$ კურსის ფასი 8 მ. 50 კ.
ქალაქს გარეშეებს ეგზავნებათ ხუთი მანეთის ბეის მიღების შემდეგ.
შეკვეთა და ცნობების მიღება შეიძლება მხოლოდ რ. ი. შმიდტან, თბილისი, თხინვალის ქ., № 12, გოლოვინის პროსპექტის და მამადავითის ქუჩის ახლო. Тифлисъ, Тхинвальская, № 12, отд. 1—2.

სპრინცოვკა პროფესორ ტარნოვსკისა
(შესაშხაპუნებელი)
და სუსპენზორიები, მივიღეთ
I და II ხარისხისა, დიდძალი პარტია, ვჰყიდით ბითუმად და წვრილად. ფასები შესაშხაპუნებლისა ბითუმად I ხარისხისა დუჟინი 9 მან. 50 კ., II ხარისხისა 7 მან. 50 კ. სუსპენზორიების ფასი: ბითუმად დუჟინი 7 მან. 50 კ.
მიმართეთ შესაკვეთად: რ. ი. შმიდტს, თბილისი, თხინვალის ქუჩა, № 12. მისამართი: Тифлисъ, Тхинвальская ул. № 12, отд. 1—7, Р. И. ШМИДТЪ.
ქალაქის გარედ აფთიაქებს და ვაჭრებს ვაგზავნებათ 5 მანეთის ბეს მიღების შემდეგ.

თევზის მრეწველნი
ძმ. ძეძველოვები
პუშკინის ქუჩა, საკუთარი სახ., № 9, ტელეფონი № 712.
ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ. მაილოვის-ზვით, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზილალა, მცირე მარილიანი, შავი „მუშონი“ ხიზილალა. მივიღეთ საუკეთესო სალიანის შამაიები მუდმივ გვაქვს ცოცხალი თევზი. აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

ნებადართულია სამხედრო ცენზურისაგან

სტამბა „ცხოვრება“ კალანდაძისა, გაზეთის შესახვევი № 4.